

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება №368
2022 წლის 15 ივლისი ქ. თბილისი**

**„ტექნიკური რეგლამენტის – გარემოსთვის მიყენებული ზიანის
ფულადი სახით ანაზღაურების წესის“ დამტკიცების შესახებ**

მუხლი 1

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების წესი“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

**ტექნიკური რეგლამენტი – გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით
ანაზღაურების წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ტექნიკური რეგლამენტი – გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების წესი (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) შემუშავებულია „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად და ადგენს გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების და მიყენებული ზიანის ფულადი ანაზღაურების წესს.

2. ტექნიკური რეგლამენტის მიზანია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმების დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების წესის დადგენა.

3. ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება პირის მიერ უკანონო ქმედებით გარემოსთვის მიყენებულ ისეთ ზიანზე, რომელიც:

ა) კანონის შესაბამისად არ მიიჩნევა გარემოსთვის მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანად;

ბ) კანონის შესაბამისად არ მიიჩნევა გარემოსთვის მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანად და ამავე დროს სახეზეა კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა;

გ) ისეთ ზიანზე, რომელიც გათვალისწინებულია კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ-თ“ ქვეპუნქტებით.

4. გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშება ხორციელდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი ორგანოსთვის ცნობილი გახდა სამართლებრივი ნორმების დარღვევის შედეგად პირის მიერ განხორციელებული ქმედებით ან/და უმოქმედობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის შესახებ.

5. გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების მიზნებისთვის გაწეული ხარჯების (გაზომვების ჩატარება, სინჯების აღება, ლაბორატორიული ანალიზები) ანაზღაურების ვალდებულება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება დამრღვევს, რომელიც პასუხისმგებელია ზიანის მიყენებაზე.

6. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების წესს გარემოს შემდეგი კომპონენტებისთვის:

ა) მიწა (დაბინძურება და დეგრადაცია);

ბ) ტყის რესურსები და მწვანე ნარგავები;

გ) თევზი და სხვა ჰიდრობიონტები;

დ) გარეული ცხოველები და ფრინველები;

ე) სასარგებლო წიაღისეული (მათ შორის მიწისქვეშა წყალი);

ვ) ზედაპირული წყლის ობიექტები (მათ შორის შავი ზღვის წყალი).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორია** – საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დასახლებისთვის მინიჭებული განსაკუთრებული რეგულირების (სარეკრეაციო, საკურორტო, თავდაცვითი ან საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით მინიჭებული სხვა) სტატუსის მქონე ტერიტორია;

ბ) **მიწის ფონური (საბაზისო) მდგომარეობა** – მდგომარეობა მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც არ განიცდის ან/და არ განუცდია ტექნოგენური ზემოქმედება;

გ) **სასარგებლო წიაღისეულის (წიაღის) უკანონოდ მოპოვება (სარგებლობა):**

გ.ა) ყველა სახეობის სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე;

გ.ბ) წიაღით სარგებლობის ობიექტზე წიაღით მოსარგებლის, ასევე ლიცენზიისგან გათავისუფლებული პირის მიერ, სამთო მინაკუთვნის ფარგლებში დადგენილ საერთო მოცულობაზე მეტი ოდენობით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

გ.გ) წიაღით მოსარგებლის ასევე ლიცენზიისგან გათავისუფლებული პირის მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება სამთო მინაკუთვნის საზღვრებს (როგორც მიწის ზედაპირზე, ასევე სიღრმეში) გარეთ;

დ) პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება კანონითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ტერმინები.

მუხლი 3. მიწების დაბინძურების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების წესი

1. მიწების (მათ შორის, დაცული ტერიტორიების მიწებისა და ტყის ნიადაგის) ქიმიური ნივთიერებით/ნაერთით დაბინძურების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$V = N \times S \times E \times K \times H \quad (1)$$

ა) სადაც:

ა.ა) V – არის მიწების დაბინძურების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა ლარებში;

ა.ბ) N – საბაზისო ნორმატივი. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშებისას საბაზისო ნორმატივის (N) მნიშვნელობები განსაზღვრულია ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-ით, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების დროს საბაზისო ნორმატივის (N) მნიშვნელობად აიღება 14286 ლარი.

ა.გ) S – დაბინძურებული მიწის ფართობი ჰა;

ა.დ) E – ტერიტორიის ეკოლოგიური კოეფიციენტი. დაცული ტერიტორიის მიწების დაბინძურების შემთხვევაში ეკოლოგიური კოეფიციენტი ტოლია 4-ის, ხოლო სხვა ტერიტორიის შემთხვევაში – 1,5-ის;

ა.ე) K – მიწის დაბინძურების დონეზე (ხარისხზე) დამოკიდებული გადასაყვანი კოეფიციენტი, რომელიც გამოიანგარიშება ლაბორატორიული ანალიზისა და ტექნიკური რეგლამენტის დანართი 2-ის მიხედვით;

ა.ვ) H – მიწის დაბინძურების სიღრმის მიხედვით გადასაყვანი კოეფიციენტი, ტექნიკური რეგლამენტის დანართი 3-ის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა – $H=5$.

1¹. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი არ არის რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო

სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, მიწის დაბინძურებით გარემოზე მიყენებული ზიანის გამომანგარიშებისას საბაზისო ნორმატივის (N) მნიშვნელობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტების მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტის დანართ 1-ის შესაბამისად. (25.02.2026 N 81)

2. იმ შემთხვევაში, თუ მიწების დაბინძურება გამოწვეულია ერთზე მეტი სახიფათო ნივთიერებით, გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამომანგარიშება ხდება იმ ქიმიური ნივთიერების მიხედვით, რომლის დაბინძურების დონის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია (დანართი 2).

3. იმ შემთხვევაში, თუ ქიმიური ნივთიერებები/ნაერთები არ არის შეტანილი დანართ 2-ში, გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოიანგარიშება ამ მუხლის ფორმულა (1) ით, ხოლო K-ს მნიშვნელობად აიღება L კოეფიციენტი, დანართი 2-ის მიხედვით. ამ შემთხვევაში L-კოეფიციენტის მნიშვნელობა გამოიანგარიშება ფორმულა (2)-ით:

$$C=(C \text{ ფაქტობრივი})/(C \text{ ფონური}) \quad (2)$$

ა) სადაც, ლაბორატორიული კვლევის შედეგად:

ა.ა) **C ფაქტობრივი** – არის ქიმიური ნივთიერების/ნაერთის ფაქტობრივი შემცველობა მიწაში;

ა.ბ) **C ფონური** – ქიმიური ნივთიერების/ნაერთის შემცველობა მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც არ განიცდის ან/და არ განუცდია ტექნოგენური ზემოქმედება. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ფონურ ტერიტორიაზე საერთოდ არ ფიქსირდება შესაბამისი ქიმიური ნივთიერებების/ნაერთების შემცველობა C ფონური =0,1, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფონურ ტერიტორიაზე ფიქსირდება შესაბამისი ქიმიური ნივთიერებების/ნაერთების შემცველობა, C ფონური ტოლია ამ ტერიტორიაზე ქიმიური ნივთიერებების/ნაერთების შემცველობის.

4. გარემოსთვის მიყენებული ზიანი არ გამოიანგარიშდება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის დაბინძურების შემთხვევაში.

5. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურებისას გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი მიწის დაბინძურებისას განისაზღვრება 10 000 (ათი ათასი) ლარით და ზევით.

მუხლი 4. მიწების დეგრადაციის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამომანგარიშების წესი

1. მიწების (მათ შორის, დაცული ტერიტორიების მიწისა და ტყის ნიადაგის) დეგრადაციის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Z=N \times S \times D \times E \quad (1)$$

ა) სადაც:

ა.ა) Z – არის მიწის დეგრადაციის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა ლარებში;

ა.ბ) N – საბაზისო ნორმატივი. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დეგრადაციით გარემოზე მიყენებული ზიანის გამომანგარიშებისას საბაზისო ნორმატივის (N) მნიშვნელობები განსაზღვრულია ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-ით, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დეგრადაციით გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამომანგარიშების დროს საბაზისო ნორმატივის (N) მნიშვნელობად აიღება 14 286 ლარი;

ა.გ) S – დეგრადირებული ტერიტორიის ფართობი ჰა;

ა.დ) D – მიწების დეგრადაციის ხარისხის მაჩვენებელი;

ა.ე) E – ტერიტორიის ეკოლოგიური კოეფიციენტი.

1¹. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი არ არის რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, მიწის დეგრადაციით გარემოზე მიყენებული ზიანის გამომანგარიშებისას საბაზისო ნორმატივის (N) მნიშვნელობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტების მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტის დანართ 1-ის შესაბამისად. (25.02.2026 N 81)

2. ტერიტორიის ეკოლოგიური კოეფიციენტი E ტოლია:

ა) ნაკრძალების მიწების დეგრადაციის შემთხვევაში – 4-ის;

ბ) სხვა დაცული ტერიტორიის მიწების, ასევე საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული დაცვითი ტყეების ტყის ნიადაგის დეგრადაციის შემთხვევაში – 3-ის;

გ) ტყის ნიადაგის შემთხვევაში ტოლია 2-ის;

დ) სხვა ტერიტორიის შემთხვევაში – 1,5-ის.

3. მიწების დეგრადაციის ხარისხის მაჩვენებელი – D ხასიათდება შემდეგი ხარისხებით:

ა) სუსტად დეგრადირებული – ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემცირება ფონურ მაჩვენებელთან 1-10% ჩათვლით – $D=0,2$;

ბ) საშუალოდ დეგრადირებული – ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემცირება ფონურ მაჩვენებელთან 11-30% ჩათვლით – $D=0,5$;

გ) ძლიერდეგრადირებული – ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემცირება ფონურ მაჩვენებელთან 31-60% ჩათვლით $D=1$;

დ) ძალზე ძლიერ დეგრადირებული – ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემცირება ფონურ მაჩვენებელთან 61-100% ჩათვლით $D=2$.

4. იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა აღრეულია ნიადაგის წარმომქმნელ ქანებთან, მიწის დეგრადაციის ხარისხის მაჩვენებელი $D=0,5$;

ბ) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა აღრეულია სხვა მასასთან (მასალა, ნივთიერება, ნაერთი, ნარჩენი და სხვა), მიწის დეგრადაციის ხარისხის მაჩვენებელი $D=2$.

5. თუ არსებობს მიწის დეგრადაციის ხარისხის შეფასების ორი ან მეტი განსხვავებული მაჩვენებელი, მაშინ აიღება ის მაჩვენებელი, რომლის დეგრადაციის ხარისხი უფრო მაღალია.

6. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მიწების დეგრადაციის ხარისხის მაჩვენებლის – D განსაზღვრა, ასეთ შემთხვევაში $D=2$.

7. იმ შემთხვევაში, თუ ვერ დგინდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის ადგილი გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულით:

$$Z=V \times K (2);$$

სადაც,

Z – გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა;

V – ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა (მ³);

K – ასამაღლებელი კოეფიციენტი $K=300$ ლარი.

8. გარემოსთვის მიყენებული ზიანი არ გამოანგარიშდება:

ა) კერძო საკუთრებაში არსებული მიწის დეგრადაციის შემთხვევაში;

ბ) თუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა.

გ) სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი თანამშრომლის თანდასწრებით, მოხსნილი ან/და გადაადგილებული ნიადაგის მოხსნის ადგილზე დაბრუნებისა და განფენის შემთხვევაში, რაც დასტურდება შედგენილი შესაბამისი აქტითა და ფოტოვიდეო მასალით; (25.02.2026 N 81)

დ) თუ ნარჩენების დაყრა ხდება ადგილზე არსებულ ნაყარზე. (25.02.2026 N 81)

9. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურებისას გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი მიწის დეგრადაციისას განისაზღვრება 10 000 (ათი ათასი) ლარით და ზევით.

მუხლი 5. საქართველოს ტყეზე და ტყის რესურსებზე უკანონო ქმედებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების წესი

1. საქართველოს ტყეზე და ტყის რესურსებზე უკანონო ქმედებით ზიანის მიყენებისას გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოანგარიშდება ამ მუხლით ან/და დანართი 4-ის შესაბამისად.

2. საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული დაცული ან დაცვითი კატეგორიის ტყეებში, ასევე, დაცულ ტერიტორიებზე (გარდა დაცული ლანდშაფტისა, აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონისა, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა) ამ მუხლით ან/და დანართი 4-ით გათვალისწინებული უკანონო ქმედების შედეგად გამოწვეული ზიანის ოდენობა განისაზღვრება ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი წესით გამოანგარიშებული ზიანის ორმაგი ოდენობით (გარდა მე-4 დანართის მე-7 და მე-16 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

3. იმ შემთხვევაში, თუ უკანონოდ მოპოვებული (მოჭრილი) ხეტყე სამართალდარღვევის ადგილიდან წაღებულია და შეუძლებელია ხის ტაქსაციური დიამეტრის დადგენა, მაშინ ტაქსაციური დიამეტრის დასადგენად გამოიყენება დანართებით – 18–23-ით გათვალისწინებული ფესვის ყელის, ძირკვის გადანაჭერისა და ტაქსაციური დიამეტრის ურთიერთდამოკიდებულების (გადასაყვანის) შესაბამისი ცხრილები და ფორმულები. ანალოგიურად, თუ უკანონოდ მოპოვებული (მოჭრილი) ხეტყე მთლიანად ან ნაწილობრივ წაღებულია ან მოჭრილი ხის მთლიანობა დარღვეულია (დაჭრილია) და ჯირკვის გადანაჭერზე შეინიშნება ხმოვის, ფაუტიანობის ან ღრუიანობის ნიშნები, გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა (გამოანგარიშება) ხდება მე-4 დანართის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო თუ ჯირკვის გადანაჭერზე არ შეინიშნება ხმოვის, ფაუტიანობის ან ღრუიანობის ნიშნები, გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა (გამოანგარიშება) ხდება მე-4 დანართის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

(08.10.2024 N340 იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არ ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას, გავრცელდეს, მათ შორის, გარემოსთვის მიყენებული ზიანის იმ შემთხვევებზე, როდესაც ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაკისრებული არ აქვს ამ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილება

4. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია უკანონოდ მოპოვებული მერქნის ჩამორთმევა და როცა ამ მერქნის რაოდენობა (მოცულობა) ცნობილია, გაანგარიშებული ზიანის თანხას ემატება ხის შესაბამისი მერქნული რესურსის სარგებლობისთვის დაწესებული მოსაკრებლის ერთმაგი ოდენობა, შესაბამისი მოცულობის გათვალისწინებით (ნამრავლით).

5. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ მცენარეთა სახეობებზე უკანონო ქმედებების შედეგად გამოწვეული ზიანის გამოანგარიშება ხდება ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი წესით, გაანგარიშებული ზიანის ორმაგი ოდენობით.

6. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურებისას ტყის რესურსებზე უკანონო ქმედებით გარემოსთვის მიყენებული ზიანი მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მერქნიანი მცენარეების (მათ შორის, მოზარდ-აღმონაცენის) ან/და ბუჩქების დაზიანების (რამაც შესაძლოა მათი ზრდის შეწყვეტა გამოიწვიოს ან რასაც შესაძლოა მათი სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტა გამოიწვიოს), უკანონოდ მოჭრის, ამოძირკვის ან განადგურების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანი შეადგენს 1000 (ერთი ათასი) ლარს ან მეტს.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (საქართველოს ტყის გარდა) არსებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების/ ხე-მცენარეების (ცოცხალი, ნედლი მცენარეების) დაზიანებით, ამოძირკვით, მოჭრით ან განადგურებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი

1. მწვანე ნარგავების/ხე-მცენარეების (ცოცხალი, ნედლი მცენარეების) სახეობისა და დიამეტრის მიხედვით განისაზღვრება მათი აღდგენითი ღირებულება ლარებში.

2. დიამეტრი იზომება მიწის ზედაპირიდან 10 სმ-ის სიმაღლეზე.

3. I ჯგუფს განეკუთვნება: უხრავი, მუხა – ყველა სახეობის, ცხენისწაბლი, იფანი, ცაცხვი, ძელქვა, ნეკერჩხალი (გარდა იფან-ფოთოლასი), აბრეშუმა აკაცია, სოფორი, მაკლურა, მაგნოლია – ყველა სახეობის, ევკომია, პალმა, კაკალი, კეთილშობილი დაფნა, წაბლი, წიფელი, საკმლის ხე, ჩვეულებრივი და კოლხური ჯონჯოლი, ქართული თხილი, შიშველი აკაკი, თუთა – ყველა სახეობის, თელა – ყველა სახეობის, ქაცვი – აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება დანართი 5-ის შესაბამისად.

4. II ჯგუფს განეკუთვნება: უთხოვარი, კედარი – ყველა სახეობის, ფიჭვი – ყველა სახეობის, კვიპაროსი – ყველა სახეობის, ცრუცუგა, სოჭი, ნაძვი – ყველა სახეობის, კრიპტომერია, სექვოია – აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრება დანართ 5-ის შესაბამისად.

5. III ჯგუფს განეკუთვნება: ჭადარი, ნეკერჩხალი (იფან-ფოთოლა), რცხილა, ჯაგრხცილა, აკაცია, გლედისია, არდავანი, არყის ხე, საპნის ხე, კატაპლა, კუნელი, ვერხვი – ყველა სახეობის, მურყანი, ტირიფი, ნუში, ალვის ხე – აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრება დანართი 5-ის შესაბამისად.

6. IV ჯგუფს განეკუთვნება: ღვია, ტუია, წყავი, ჭყორი, მაჰონია, მარადმწვანე კოწახური, იუკა დიდებული, ბზა – ყველა სახეობის, ჩიტავაშლა, ვაზი – ყველა სახეობის, იასამანი, შინდანწლა, სურო – ყველა სახეობის, გრაკლა, თრიმლი, ფშატი, ვარდი – ყველა სახეობის, იაპონური კომში, ბროწეული, დეიცია, ბუდლეია, ხე-ტუხტი, გლიცინია, ამპელოფსისი, პარტენოცესუსი, ჩინური ვისტარია, ირმის რქა, ბიოტა, კვიდო – ყველა სახეობის, ოქროწვიმა, კურდღლის ცოცხი – აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრება დანართი 5-ის შესაბამისად.

7. V ჯგუფს განეკუთვნება: მსხალი, ვაშლი, ბალი, ატამი, გარგარი, ალუბალი, ქლიავი, ლეღვი, შინდი, ტყემალი, ხურმა – ყველა სახეობის, ნუში, კვრინჩხი, ზღმარტლი და სხვა სახეობები – აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრება დანართი 5-ის შესაბამისად.

8. ქ. თბილისის საზღვრებად ითვლება თბილისის პერსპექტიული განვითარების მოქმედი გენერალური გეგმის შესაბამისად დადგენილი საზღვრები; მიმდებარე ტერიტორიად ითვლება ქ. თბილისისთვის – ადმინისტრაციული საზღვრიდან 7-კილომეტრიანი ზოლი, ქალაქებისთვის: ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, გორი, თელავი – 5-კილომეტრიანი ზოლი, ხოლო სხვა დასახლებული პუნქტებისთვის – 3-კილომეტრიანი ზოლი.

9. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მწვანე ნარგავები/ხე-მცენარეები (ცოცხალი, ნედლი მცენარეები), მათი ადგილმდებარეობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იყოფა 3 კატეგორიად:

ა) პირველ კატეგორიას განეკუთვნება:

ა.ა) ბაღების, პარკებისა და სკვერების ნარგავები;

ა.ბ) ქალაქის ან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ისტორიულ ნაწილში არსებული ნარგავები;

ა.გ) პროსპექტების, გზატკეცილების, მაგისტრალებისა და ქუჩების ნარგავები;

ა.დ) ნარგავები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ როგორც ნიადაგდამცავებსა და წყალმარეგულირებლებს, ასევე ქარსაფარი (მინდორსაცავი) ზოლების ნარგავები;

ბ) მეორე კატეგორიას განეკუთვნება საბავშვო ბაღების, სკოლების, საავადმყოფოებისა და ფაბრიკა-ქარხნების ტერიტორიებზე არსებული ნარგავები;

გ) მესამე კატეგორიას განეკუთვნება ნარგავები, რომლებიც არ შედიან პირველ და მეორე კატეგორიებში.

10. პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების მიხედვით დგინდება შესაბამისი შემასწორებელი კოეფიციენტები – 2, 1,5 და 1, რომლებზეც მრავლდება აღდგენითი ღირებულების თანხის ორმაგი ოდენობა და გამოითვლება მწვანე ნარგავების (ცოცხალი, ნედლი მცენარეების) დაზიანების, მოჭრის, განადგურებისა და ამოძირკვის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობა.

11. მწვანე ნარგავების/ხე-მცენარეების (ცოცხალი, ნედლი მცენარეების) ისეთი დაზიანების შემთხვევაში, რომელიც იწვევს მათი ზრდის შეჩერებას, ზიანის ოდენობა შეესაბამება აღდგენითი ღირებულების თანხის 50%-ს.

12. მწვანე ნარგავების/ხე-მცენარეების (ცოცხალი, ნედლი მცენარეების), ასევე ქარსაფარი (მინდორსაცავითი) ზოლების ან სხვა დამცავი ნარგავების უკანონოდ ამოძირკვისას აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრება დანართი 5-ის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ამოძირკვეული ხის სახეობის და დიამეტრის დადგენა შეუძლებელია, ზიანის გაანგარიშება ხდება აღნიშნულ ან მიმდებარე ფართობზე გაშენებული ან გაბატონებული მწვანე ნარგავების/ხე-მცენარეების სახეობისა და საშუალო დიამეტრის მიხედვით.

13. ქ. თბილისსა და მისი საზღვრებიდან შვიდკილომეტრიან ზოლში გარემოსთვის მიყენებული ზიანი იანგარიშება „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

14. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურებისას გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისთვის განისაზღვრება 1000 (ერთი ათასი) ლარით და ზევით.

მუხლი 7. თევზის მარაგსა და სხვა ჰიდრობიონტებზე მიყენებული ზიანის გამოანგარიშების წესი

1. უკანონო თევზჭერით და სხვა ჰიდრობიონტების (გარდა წყლის მცენარეებისა) უკანონო მოპოვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოიანგარიშება ფორმულით:

$$N_1 = N_2 \times P \quad (1)$$

ა) სადაც:

ა.ა) N_1 – არის უკანონო თევზჭერით და სხვა ჰიდრობიონტების უკანონო მოპოვებით გამოწვეული ზიანი ლარებში;

ა.ბ) N_2 – უკანონო თევზჭერით და სხვა ჰიდრობიონტების უკანონო მოპოვებით მიყენებული ზიანის ოდენობა ერთ კილოგრამზე, ლარებში (დანართი 6-ის მიხედვით);

ა.გ) P – მოპოვებული რესურსის რაოდენობა, კილოგრამებში;

ბ) გამოანგარიშება ყველა სახეობაზე, რომელიც ფაქტობრივად არის მოპოვებული, ხდება ცალ-ცალკე და შემდეგ იკრიბება.

2. მავნე ზემოქმედების შედეგად შთამომავლობის დანაკარგით გამოწვეული მოსალოდნელი ზიანის ოდენობა განისაზღვრება (გამოიანგარიშება) შემდეგი ფორმულით:

$$N_2 = \frac{nQKpcz}{10000} Z \quad (2)$$

ა) სადაც:

ა.ა) N_2 – შთამომავლობის დანაკარგით გამოწვეული მოსალოდნელი ზიანი ლარებში;

ა.ბ) n – უკანონოდ მოპოვებული და/ან დაღუპული თევზის რაოდენობა ცალებში;

ა.გ) Q – ქვირითობის საშუალო ნაყოფიერება თითოეული სახეობისათვის;

ა.დ) K – ქვირითისაგან მიღებული თევზის კვლავწარმოების კოეფიციენტი %-ში;

ა.ე) p – მწარმოებლის საშუალო წონა, კგ-ში;

ა.ვ) c – პოპულაციაში მდებარი ინდივიდების სტატისტიკური წილი, %;

ა.ზ) z – ქვირითობის ჯერადობა სიცოცხლის განმავლობაში;

ა.თ) Z – ერთი კგ თევზის ბუნებრივი რესურსის მოსაკრებელი ლარებში.

3. წყლის მცენარეებზე მავნე ზემოქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$N_3 = P \times Z$$

ა) სადაც:

ა.ა) N_3 – მცენარეებზე მავნე ზემოქმედებით გარემოსთვის მიყენებული ზიანი ლარებში;

ა.ბ) P – მცენარეების ბიომასა კგ-ში;

ა.გ) Z – 1 კგ მცენარეთა ბიომასის საბაზრო ღირებულება ლარებში (გამოიანგარიშების დროისათვის).

4. წყალამღებ მოწყობილობაში მოხვედრილი თევზების საერთო რაოდენობა საანგარიშო პერიოდში განისაზღვრება (გამოიანგარიშება) შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{S_k}{S_l} nM$$

ა) სადაც:

ა.ა) K – დროის გარკვეულ მონაკვეთში არხში მოხვედრილი თევზის რაოდენობა ცალობით;

ა.ბ) S_k – არხის ფართობი განივ კვეთაში, მ²;

ა.გ) S_l – „მახე-ბადის“ სარკმლის ფართობი, მ²;

ა.დ) n – „მახე-ბადეში“ მოხვედრილი თევზების რაოდენობა ცალობით, დროის ერთეულში;

ა.ე) M – ფაქტორის მოქმედების ხანგრძლივობა დროის ერთეულში;

ბ) არხის ფართობი განივ კვეთაში გამოიანგარიშება ფორმულით:

$$S_k = \frac{\pi D^2}{4}, \text{ სადაც}$$

სადაც

ბ.ა) D – მილის დიამეტრია;

ბ.ბ) π – კონსტანტა = 3,14;

გ) არხის ფართობი წყლის სამკუთხედი დინებისას გამოიანგარიშება ფორმულით:

$$S_k = L \times h$$

სადაც:

გ.ა) L – წყლის დინების სიგანეა;

გ.ბ) h – მისი სიღრმე;

დ) არხის ფართობი ტრაპეციული წყლის დინებისას გამოიანგარიშება ფორმულით:

$$S_k = \frac{L_1 + L_2}{2} h$$

სადაც – L_1 და L_2 წყლის დინების სიგანეა ფსკერისაკენ და ზედაპირისკენ, ხოლო h მისი სიღრმე;

ე) თუ გვხვდება წყლის დინების რთული ფორმა, მაშინ ცოცხალი დინების ფართობის განსაზღვრისათვის აუცილებელია ჰიდროლოგიური კვეთით გადაღების ჩატარება.

5. თევზებისთვის, უხერხემლოებისთვის, აგრეთვე წყლის მცენარეებისთვის აღწარმოების პირობების გაუარესებით გამოწვეული მავნე ზემოქმედება გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$A = S (B - B_1) Z$$

ა) სადაც:

ა.ა) A – აღწარმოების პირობების გაუარესებით გამოწვეული ზემოქმედება;

ა.ბ) S – ფართობი, რომელზედაც მოქმედებს არახელსაყრელი ფაქტორი;

ა.გ) B – მოცემული ფართობის ბიოპროდუქტიულობა ზემოქმედების შედეგად პირობების გაუარესებამდე (კგ/ჰა);

ა.დ) B_1 – მოცემული ფართობის ბიოპროდუქტიულობა პირობების გაუარესების შემდეგ, (კგ/ჰა);

ა.ე) Z – სახეობის ან ბიომასის ერთი კგ-ის ღირებულება ლარებში;

6. თევზებსა და სხვა ჰიდრობიონტებზე მიყენებული ზიანის გამოანგარიშების ფორმულებში რესურსის ღირებულებად გამოიყენება „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რესურსის მოსაკრებლის 100-მაგი ოდენობა.

7. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე ზიანის თანხა ხუთმაგდება.

8. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურებისას გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი ამ მუხლით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსისთვის განისაზღვრება 2 000 (ორი ათასი) ლარით და ზევით.

მუხლი 8. ცხოველთა სამყაროს ობიექტების უკანონოდ მოპოვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების წესი

1. ცხოველთა სამყაროს ობიექტების უკანონოდ მოპოვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოიანგარიშება დანართი 7-ის მიხედვით.

2. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე ზიანის თანხა ხუთმაგდება.

3. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურებისას გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი, ამ მუხლით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსისთვის, განისაზღვრება 2 000 (ორი ათასი) ლარით და ზევით.

მუხლი 9. სასარგებლო წიაღისეულზე (მათ შორის მიწისქვეშა წყლებზე) უკანონო ქმედებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების წესი

1. ყველა სახეობის სასარგებლო წიაღისეულის უკანონო მოპოვებით (სარგებლობით) გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშებისას, მოპოვებული

კონკრეტული სასარგებლო წიაღისეულის ერთეულის ღირებულება განისაზღვრება „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისათვის მოსაკრებლის მაკორექტირებელი C კოეფიციენტის ($C=5$, გარდა ქვიშის, ხრემის, ქვიშა-ხრემისა, სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენისა (წიდა) და მიწისქვეშა მტკნარი წყლისა) გათვალისწინებით. ქვიშის, ხრემის, ქვიშა-ხრემის უკანონო სარგებლობისას მაკორექტირებელი კოეფიციენტი – $C=25$, სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენის (წიდა) უკანონო სარგებლობისას მაკორექტირებელი კოეფიციენტი – $C=2000$, ხოლო მიწისქვეშა მტკნარი წყლის უკანონო სარგებლობისას მაკორექტირებელი კოეფიციენტი – $C = 10$. (25.02.2026 N 81)

2. სასარგებლო წიაღისეულით (წიაღით) სარგებლობისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი შეიძლება გამოწვეულ იქნეს სასარგებლო წიაღისეულის (წიაღით) უკანონოდ მოპოვების (სარგებლობის) შემთხვევაში.

3. ყველა ტიპის სასარგებლო წიაღისეულის უკანონოდ სარგებლობისას გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

ა) უკანონოდ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა შესაბამის ზომის ერთეულებში;

ბ) კონკრეტული სასარგებლო წიაღისეულის სარგებლობისთვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა ლარებში.

4. ყველა ტიპის სასარგებლო წიაღისეულის უკანონო მოპოვებისას (სარგებლობისას) გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულით:

$$P=Q \times K \times C + M \quad (1)$$

ა) სადაც:

ა.ა) P – გარემოსთვის მიყენებული ზიანია ლარებში;

ა.ბ) Q – უკანონოდ მოპოვებული კონკრეტული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა, შესაბამის ზომის ერთეულებში. მიწისქვეშა წყლის უკანონოდ მოპოვების შემთხვევაში წყლის ოდენობა გამოითვლება კონკრეტული დროის პერიოდისთვის (კონკრეტული დროის პერიოდის უკუათვლა იწყება იმ დროიდან, როდესაც უფლებამოსილი ორგანოსთვის ცნობილი გახდება მიწისქვეშა წყლების უკანონო მოპოვების შესახებ (მაგრამ არაუმეტეს 12 თვისა), ხოლო, თუ რეგულირების ობიექტზე წინა პერიოდში განხორციელებულია ინსპექტირება, რომლითაც მიწისქვეშა წყლების უკანონო სარგებლობის შესახებ ფაქტი არ გამოვლენილა აღნიშნული ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში პერიოდის ათვლა დაიწყება წინა პერიოდში განხორციელებული ინსპექტირების თარიღიდან (მაგრამ არაუმეტეს 12 თვისა); (08.10.2024 N340 იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არ ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას,

გავრცელდეს, მათ შორის, გარემოსთვის მიყენებული ზიანის იმ შემთხვევებზე, როდესაც ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაკისრებული არ აქვს ამ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილება)

ა.გ) K – კონკრეტული სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისათვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა ლარებში;

ა.დ) C – კონკრეტული სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის დადგენილი მოსაკრებლის მაკორექტირებელი კოეფიციენტი;

ა.ე) M – კონკრეტული სასარგებლო წიაღისეულის სალიცენზიო მოსაკრებელი ლარებში.

5. მოქმედი კანონმდებლობის დარღვევისას საბადოებზე მიწისქვეშა წყლების დაბინძურების, წყლის დებიტის შემცირების ან დაშრეტისას, გარემოსთვის მიყენებული ზიანის და მავნე ზემოქმედების მაჩვენებელია:

ა) სამთო მინაკუთვნის ფარგლებს გარეთ კონკრეტული მიწისქვეშა წყლის საბადოზე (ან საბადოებზე) ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების წარმოებისას, გეოლოგიური და ტექნოლოგიური ნორმების მოთხოვნების დარღვევის ან სამთო მინაკუთვნის ფარგლებში სავალდებულო საპროექტო მოთხოვნების დარღვევის შედეგად, მოქმედ საექსპლუატაციო ჭაბურღილში (ან ჭაბურღილებში) კონკრეტული მიწისქვეშა წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების გაუარესება;

ბ) მიწისქვეშა წყლის ობიექტის მკაცრი სანიტარიული დაცვის ზონაში (პირველი სარტყელი) დადგენილი მოთხოვნების დარღვევა, რამაც გამოიწვია მიწისქვეშა წყლის დაბინძურება, დაშრეტა ან/და დებიტის შემცირება;

გ) ტექნოგენური ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული პროცესები, რამაც გამოიწვია მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი ან/და რაოდენობრივი პარამეტრების გაუარესება.

6. მიწისქვეშა წყლების საბადოზე (საბადოებზე) მე-5 პუნქტში მოყვანილი ან/და სხვა ანალოგიური მაჩვენებლების მიხედვით, მიწისქვეშა წყლებზე გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოანგარიშდება კონკრეტულ მიწისქვეშა წყლებზე ცალ-ცალკე. ამ შემთხვევაში, კონკრეტული მიწისქვეშა წყლით სარგებლობის პროცესში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მე-5 პუნქტში მოყვანილ ზიანს და მავნე ზემოქმედებას როგორც ცალკეული, ასევე ყველა შემთხვევების დროს და, გამომდინარე აქედან, გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოანგარიშდება თითოეული კონკრეტული შემთხვევისთვის ცალ-ცალკე.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოყვანილი, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ტიპური დამახასიათებელი მაჩვენებლების მიხედვით, გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოანგარიშდება ფორმულა 2-ის გამოყენებით:

$$P = (Q_{\text{წყ}} \times K_2 \times \text{წყ} \times C) + V \quad (2)$$

ა) სადაც:

ა.ა) P – არის გარემოსთვის მიყენებული ზიანი ლარებში;

ა.ბ) **Qყყ** – მიწისქვეშა წყლის მოცულობა, შესაბამის ზომის ერთეულში – მოქმედი კანონმდებლობის დარღვევისას, კონკრეტული დროის პერიოდში საბადოებზე მიწისქვეშა წყლების დაბინძურების ან მიწისქვეშა წყლის რაოდენობრივი (დებიტის შემცირების ან დაშრეტის) ან ხარისხობრივი პარამეტრების გაუარესების შედეგად, შემცირებული, დაშრეტილი ან/და დაბინძურებული მიწისქვეშა წყლის მოცულობა შესაბამის ზომის ერთეულებში (კონკრეტული დროის პერიოდის უკუათვლა იწყება იმ დროიდან, როდესაც უფლებამოსილი ორგანოსთვის ცნობილი გახდება მიწისქვეშა წყლების დაბინძურების, წყლის დებიტის შემცირების ან დაშრეტის შესახებ (მაგრამ არაუმეტეს 12 თვისა), ხოლო თუ რეგულირების ობიექტზე წინა პერიოდში განხორციელებულია ინსპექტირება, რომლითაც მიწისქვეშა წყლების დაბინძურების, წყლის დებიტის შემცირების ან დაშრეტის შესახებ ფაქტი არ გამოვლენილა – აღნიშნული ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, პერიოდის ათვლა დაიწყება წინა პერიოდში განხორციელებული ინსპექტირების თარიღიდან (მაგრამ არაუმეტეს 12 თვისა);

ა.გ) **K2წყ** – კონკრეტული მიწისქვეშა წყლისთვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა ლარებში;

ა.დ) **C** – კონკრეტული მიწისქვეშა წყლით სარგებლობისთვის დადგენილი მოსაკრებლის მაკორექტირებელი კოეფიციენტი ($C = 5$);

ა.ე) **V** – არის მიწების დაბინძურების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა ლარებში, რომელიც გამოიანგარიშება მე-3 მუხლის შესაბამისად.

8. წიაღით სარგებლობის მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის, ასევე ტექნოგენური ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული სტიქიური უბედურებების შედეგად სასარგებლო წიაღისეულის საბადოებსა და გამოვლინებებზე შეუქცევადი ბუნებრივი პროცესების განვითარების შემთხვევაში, რამაც გამოიწვია მიწისქვეშა წყლების დაშრეტა ან/და სხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და გამოვლინებების გაუვარგისება (მოსპობა), გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენა ხორციელდება გარემოსთვის მიყენებული ზიანის დამდგენი კომისიის მიერ, რომელიც, კომპეტენციის შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, სპეციალურად იქმნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გადაწყვეტილებით.

9. გარემოსთვის მიყენებული ზიანი არ გამოანგარიშდება, თუ პირის მიერ მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება ხორციელდება ცენტრალიზებული სასმელი წყლით მომარაგების მიზნით.

10. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურებისას, ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი (გარდა ქვიშის, ხრეშის, ქვიშა-ხრეშისა და ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში) განისაზღვრება 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარითა და ზევით, ხოლო ქვიშის, ხრეშის, ქვიშა-ხრეშის უკანონოდ მოპოვების შემთხვევაში, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი განისაზღვრება 1000 (ერთი ათასი) ლარითა და ზევით. (25.02.2026 N 81)

11. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების შემთხვევაში, თუ სახეზეა მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით (გარდა მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჩამოსხმის მიზნით) გამოყენება, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი დგება/განისაზღვრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანი არის 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი ან მეტი და ამავე დროს გარემოსთვის ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელმა პირმა იგივე ქმედება ჩაიდინა განმეორებით. *(08.10.2024 N340 იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არ ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას, გავრცელდეს, მათ შორის, გარემოსთვის მიყენებული ზიანის იმ შემთხვევებზე, როდესაც ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაკისრებული არ აქვს ამ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილება)*

მუხლი 10. ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების წესი

1. ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურებისას გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშება ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურებას:

ა) ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების შეთანხმებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებისას, ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ში ჩამდინარე წყალთან ერთად დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩაშვებით, რომელთა რაოდენობაც აღემატება ზ.დ.ჩ.-ის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) უფლებამოსილ პირთან შეთანხმებულ ნორმებს ან დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნებისმიერი რაოდენობის უნებართვო ჩაშვებით;

ბ) ნებისმიერი პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ში ჩაშვებას და რომლის საქმიანობაც არ წარმოადგენს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, ზედაპირული წყლის ობიექტში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩაშვებით, რომელთა კონცენტრაცია ჩამდინარე წყალში აღემატება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას ან რომელთა ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ში ჩაშვება არ შეიძლება მოქმედი კანონმდებლობით.

2. ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურებით, გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშება წარმოებს მე-8 დანართში მოცემული დამაბინძურებელი ნივთიერების ჩაშვებისათვის.

3. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა მასა (P) განისაზღვრება:

ა) ინსტრუმენტული გაზომვებითა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიხედვით, მათ შორის, დამაბინძურებელი ობიექტის ტექნოლოგიური მონაცემების, ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა მოცულობისა და ხანგრძლივობის ან კონცენტრირებული ხსნარების, რეაგენტების, ნედლეული პროდუქტებისა და ნარჩენების ჩაშვების მოცულობის გამოანგარიშებით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინსტრუმენტული გაზომვების ჩატარება, დამაბინძურებელ ნივთიერებათა მასა შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დოკუმენტაციის მიხედვით, მათ შორის, დამაბინძურებელი ობიექტის ტექნოლოგიური მონაცემების, ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა მოცულობისა და ხანგრძლივობის ან კონცენტრირებული ხსნარების, რეაგენტების, ნედლეული პროდუქტებისა და ნარჩენების ჩაშვების მოცულობის გამოანგარიშებით.

4. ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული თითოეული დამაბინძურებელი ნივთიერების მასა ინსტრუმენტული გაზომვების შემთხვევაში განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$P=Q \times (F - D) \times t \times 10^{-6} \quad (1)$$

ა) სადაც:

ა.ა) P – არის ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერების მასა ტონებში;

ა.ბ) Q – დამაბინძურებელ ნივთიერებათა შემცველი ჩამდინარე წყლების ხარჯი მ³/საათში;

ა.გ) F – ჩაშვების პერიოდში ჩამდინარე წყლებში ლაბორატორიული ანალიზით განსაზღვრულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ფაქტობრივი კონცენტრაცია, მგ/ლ;

ა.დ) D – ჩამდინარე წყლებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა დასაშვები კონცენტრაცია, თანახმად ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმებისა, მგ/ლ;

ა.ე) იმ შემთხვევაში, თუ დამაბინძურებელ ობიექტს კონკრეტული დამაბინძურებელი ნივთიერებ(ებ)ისათვის არ გააჩნია ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) შეთანხმებული ნორმები, D – დასაშვები კონცენტრაციის მაჩვენებლად გამოიყენება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტს დაქვემდებარებული ობიექტებისთვის დადგენილი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ჩამდინარე წყალში (ზ.დ.კ.), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულია ისეთი დამაბინძურებელი ნივთიერება, რომლისთვისაც არ არის დადგენილი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზ.დ.კ.) – D=0;

ა.ვ) t – არის დამაბინძურებელი ნივთიერების შემცველი ჩამდინარე წყლების ჩაშვების ხანგრძლიობა საათებში.

5. ზედაპირული წყლის ობიექტში დამაბინძურებელი ნივთიერების ჩაშვების ხანგრძლივობად ჩაითვლება უშუალოდ დამაბინძურებელი ნივთიერების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების პერიოდი (მაგრამ არაუმეტეს 12 თვისა), ხოლო თუ რეგულირების ობიექტზე წინა პერიოდში განხორციელებულია ინსპექტირება, რომლითაც ზედაპირული წყლის ობიექტში დამაბინძურებელი ნივთიერების ჩაშვების ფაქტი არ ფიქსირდება – დამაბინძურებელი ნივთიერების ჩაშვების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, ჩაშვების პერიოდის ათვლა დაიწყება წინა პერიოდში განხორციელებული ინსპექტირების თარიღიდან (მაგრამ არაუმეტეს 12 თვისა).

6. წყლის ობიექტებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩაშვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანი გამოიანგარიშება ფორმულით:

7. ზედაპირული წყლის ობიექტიდან აღებული წყლის გამოყენებისას, თუ ჩამდინარე წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიღებული მაჩვენებელი არ აღემატება ზედაპირული წყლის ობიექტის ფონური მაჩვენებლისა და კონკრეტული დამაბინძურებელი ნივთიერების დადგენილი ნორმის ჯამს, ზიანი არ გამოანგარიშდება. (25.02.2026 N 81)

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ზედაპირული წყლის ობიექტის ფონური მაჩვენებლის განსაზღვრისათვის სინჯების აღება ხორციელდება უშუალოდ წყლის აღების წერტილში ან, თუ ეს შეუძლებელია, მის უახლოეს მიმდებარე წერტილში (მდინარის/არხის შემთხვევაში, დინების საწინააღმდეგო მიმართულებით). (25.02.2026 N 81)

$$Y=P \cdot A \quad (2)$$

ა) სადაც:

ა.ა) Y – არის გარემოსათვის მიყენებული ზიანის რაოდენობა ლარებში;

ა.ბ) P – ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერების მასა ტონებში;

ა.გ) A – ერთი ტონა დამაბინძურებელი ნივთიერების ჩაშვების მაჩვენებელი ლარებში, რომელიც თითოეული ნივთიერებისთვის მოცემულია მე-8 დანართში.

მუხლი 11. შავი ზღვის წყლების დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების წესი

1. შავი ზღვის წყლების დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშება ხორციელდება:

ა) ზღვის წყლების დაბინძურებისას, რომელიც გამოწვეულია მასში ხმელეთზე ან ზღვაში განლაგებული სტაციონარული საწარმოო ან სხვა ობიექტებიდან დამაბინძურებელ ნივთიერებათა იმ რაოდენობის მუდმივი ჩაშვებით, რომელიც აღემატება ზღვაში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) დამტკიცებულ ნორმატივებს;

ბ) ზღვის წყლების დაბინძურებისას, რომელიც გამოწვეულია მასში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ავარიული ჩაშვებით როგორც გემებიდან, ისე სტაციონარული საწარმოო ან სხვა ობიექტებიდან.

2. ავარიულ ჩაშვებად ითვლება, როდესაც დამაბინძურებელ ნივთიერებათა რაოდენობა 10-ჯერ და მეტად აღემატება ზღვაში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) დამტკიცებულ ნორმატივებს, აგრეთვე დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნებისმიერი რაოდენობის უნებართვო ჩაშვება.

3. ეს წესი არ ვრცელდება „შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციის“ – ბუქარესტის 1992 წლის კონვენციის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე.

4. ვიზუალური დათვალიერებით ან ინსტრუმენტული გაზომვებით განისაზღვრება ზღვის წყლების დაბინძურების ყოველი შემთხვევა, რომელიც შეიძლება დაფიქსირდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე ფაქტის გამოვლენით, კერძოდ:

ა) მცურავი საშუალებებიდან, წყალმოსარგებლე ან სხვა საწარმოო ობიექტებიდან და გაზსადენის ან ნავთობსადენის სისტემიდან ერთი ან რამდენიმე დამაბინძურებელი ნივთიერების ზღვაში ჩაშვება;

ბ) ზღვის ზედაპირი ნაწილობრივ დაფარულია ნავთობპროდუქტების ან ზეთის შემცველი აფსკით, მასზე ცურავს ნარჩენი ან ზღვის ზედაპირმა დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩაშვების შედეგად შეიცვალა თავისი პირვანდელი შეფერილობა;

გ) შავი ზღვის მოცემულ აკვატორიაში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაცია აღემატება აღნიშნული აკვატორიის ფონური დაბინძურების დონეს;

დ) ზღვის ცხოველთა სამყაროს ობიექტების დაღუპვა ან განადგურება.

5. შავი ზღვის წყლების დაბინძურებისას გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშება ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩაშვებას საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვასა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლებში.

6. შავი ზღვის წყლების დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის **A_ა** და **A_ბ**-ს მნიშვნელობები გამოიანგარიშება ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა მასიდან (**P**) გამომდინარე შესაბამის დანართებში მოყვანილი მონაცემების მეშვეობით, კერძოდ:

ა) დანართ 9-ში – ნავთობპროდუქტებისთვის;

ბ) დანართ 10-ში – ორგანული ნივთიერებებისთვის (ქანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილების მიხედვით);

გ) დანართ 11-ში – შეწონილი ნაწილაკებისთვის;

დ) დანართ 12-ში – გემების მიერ თხევადი ან მშრალი ტვირთების სახით გადასატანი მავნე ნივთიერებებისთვის (მათი ტოქსიკურობის კატეგორიების მიხედვით, დანართი 13);

ე) სადაც **A_ა** და **A_ბ** – არის დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩაშვებით ზღვის წყლების დაბინძურების გამო გარემოსთვის მიყენებული ზიანის სიდიდეები (ათას ლარებში).

7. დამბინძურებლის მიერ დაბინძურების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული (გამოანგარიშებული) ზიანის რაოდენობა მცირდება და განისაზღვრება (გამოიანგარიშება) ფორმულით:

ა) ავარიული ჩაშვების დროს:

$$Y_a = A_a \times (1 - \alpha/100 \times K_{\text{შ}}) \text{ ათას ლარებში}$$

ბ) მუდმივი ჩაშვების დროს:

$$Y_{\text{მ}} = A_{\text{მ}} \times (1 - \alpha/100 \times K_{\text{ფ}}) \text{ ათას ლარებში}$$

გ) სადაც:

გ.ა) Y_a და Y_{θ} – დამაბინძურებელი ნივთიერებებით ზღვის წყლების დაბინძურების გამო

გარემოსთვის მიყენებული ზიანის სიდიდეებია, დაბინძურების სალიკვიდაციოდ გატარებულ ღონისძიებათა გათვალისწინებით;

გ.ბ) A_a და A_{θ} – ზიანის სიდიდეებია, რომელთა დაანგარიშება ხდება ამ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით;

გ.გ) K_{θ} – ზიანის სიდიდის შემცირების მაჩვენებელი კოეფიციენტია, რომელიც დამოკიდებული არის სალიკვიდაციო სამუშაოზე დახარჯულ დროზე (t ჩაშვების დამთავრებიდან დამაბინძურებელი ნივთიერების ΔP მასის აკრეფის დამთავრებამდე) და ისაზღვრება დანართი 14-ის მიხედვით;

დ) ΔP და α – აკრეფილი დამაბინძურებელი ნივთიერებათა მასა და პროცენტი დროის მონაკვეთში:

$$\alpha = \Delta P \times 100 / P \%$$

8. სანაპირო ობიექტებიდან შავ ზღვაში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა მასა განისაზღვრება:

ა) ზღვაში ავარიულად, ასევე მუდმივად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების მასა განისაზღვრება დამაბინძურებელი ობიექტის გამოკვლევისას იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებითაც ხასიათდებიან: ტექნოლოგიური მოცულობებიდან და მილსადენებიდან ჟონვის სიდიდე და ხანგრძლივობა, კონცენტრირებული ხსნარების, რეაგენტების, ნედლეული პროდუქტებისა და ნარჩენების ავარიული ჩაშვება. ზღვაში ჩაღვრილი ნავთობპროდუქტების მასა შეიძლება განისაზღვროს აფსკის გარე ნიშნებით (დანართი 15), როდესაც ღელვის დროს შეუძლებელია ინსტრუმენტული მეთოდის გამოყენება;

ბ) ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული თითოეული დამაბინძურებელი ნივთიერების მასა როგორც ავარიული, ასევე მუდმივი ჩაშვების შემთხვევაში, განისაზღვრება ფორმულით:

$$P = Q \times (F - D) \times t \times 10^{-6}$$

სადაც:

ბ.ა) P – არის ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერების მასა ტონებში;

ბ.ბ) Q – დამაბინძურებელ ნივთიერებათა შემცველი ჩამდინარე წყლების ხარჯი, მ³/საათში;

ბ.გ) F – ჩაშვების პერიოდში ჩამდინარე წყლებში ლაბორატორიული ანალიზით განსაზღვრულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ფაქტობრივი კონცენტრაცია, მგ/ლ;

ბ.დ) D – ჩამდინარე წყლებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა დასაშვები კონცენტრაცია, თანახმად ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმებისა, მგ/ლ;

ბ.ე) იმ შემთხვევაში, თუ დამაბინძურებელ ობიექტს კონკრეტული დამაბინძურებელი ნივთიერებ(ებ)ისათვის არ გააჩნია ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) შეთანხმებული ნორმები, D – დასაშვები კონცენტრაციის მაჩვენებლად გამოიყენება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტს დაქვემდებარებული ობიექტებისთვის დადგენილი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ჩამდინარე წყალში (ზ.დ.კ.), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულია ისეთი დამაბინძურებელი ნივთიერება, რომლისთვისაც არ არის დადგენილი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზ.დ.კ.) – $D=0$;

ბ.ვ) t – დამაბინძურებელი ნივთიერების რაოდენობის შემცველი ჩამდინარე წყლების ჩაშვების ხანგრძლივობა სთ;

გ) დამაბინძურებელი ნივთიერების ჩაშვების ხანგრძლივობად ჩაითვლება უშუალოდ დამაბინძურებელი ნივთიერების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების პერიოდი (მაგრამ არაუმეტეს 12 თვისა), ხოლო თუ რეგულირების ობიექტზე წინა პერიოდში განხორციელებულია ინსპექტირება, რომლითაც ზედაპირული წყლის ობიექტში დამაბინძურებელი ნივთიერების ჩაშვების ფაქტი არ ფიქსირდება – დამაბინძურებელი ნივთიერების ჩაშვების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში ჩაშვების პერიოდის ათვლა დაიწყება წინა პერიოდში განხორციელებული ინსპექტირების თარიღიდან (მაგრამ არაუმეტეს 12 თვისა).

9. გემებიდან ზღვაში ჩაშვებული სამეურნეო-ფეკალური წყლების მოცულობა განისაზღვრება:

ა) გემებზე დაგროვილი სამეურნეო-ფეკალური წყლების საანგარიშო მოცულობა შემდეგი ფორმულით:

$$Q_{\text{საანგ}} = q \times n \times t \times 10^{-3}$$

სადაც:

ა.ა) $Q_{\text{საანგ}}$ – არის სამეურნეო-ფეკალური წყლების საანგარიშო მოცულობა (კუბ. მ), რომელიც უნდა დაგროვდეს გემზე ზღვის დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნების თანახმად;

ა.ბ) q – გემის ტიპის მიხედვით სამეურნეო-ფეკალური წყლების ხარჯი (ლიტრებში),

რომელიც არის დადგენილი 1 კაცზე დღე-ღამეში (ლ/დღ.კაცი);

ა.გ) n – გემზე მყოფი ეკიპაჟის წევრთა და მგზავრთა რაოდენობა;

ა.დ) t – განვლილი დროის ხანგრძლივობა (დღე-ღამე) მას შემდეგ, რაც უკანასკნელად მოხდა სამეურნეო-ფეკალური წყლების შემაგროვებელი მოცულობების დაცლა;

ა.ე) პირველი კატეგორიის გემზე სამეურნეო-ფეკალური წყლების დღეღამური ხარჯი 1 კაცზე შეადგენს 50 ლიტრს, ხოლო სხვა დანარჩენი კატეგორიის გემებზე 25 ლიტრს, (პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან გემები, რომელთა ნაოსნობის რაიონი არ არის შეზღუდული, ხოლო სიგრძე აღემატება 65 მეტრს, მიუხედავად ეკიპაჟის წევრთა რაოდენობისა);

ბ) გემებიდან ჩაშვებული სამეურნეო-ფეკალური წყლების მოცულობა გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

$$Q_{\text{ჩაშ}} = Q_{\text{საანგ}} - Q_{\text{ფაქ}}$$

სადაც:

ბ.ა) Q საანგ – სამეურნეო-ფეკალური წყლების საანგარიშო მოცულობა კუბ.მ, რომელიც განისაზღვრება ზემოთ მოყვანილი ფორმულით;

ბ.ბ) Q ფაქ – სპეციალურ მოცულობაში დაგროვილი სამეურნეო-ფეკალური წყლების ფაქტობრივი მოცულობა კუბ.მ;

გ) გემებს, რომელთაც გააჩნიათ „მარპოლ-73/78“ კონვენციის II, III, IV და V დანართების შესაბამისად მიღებული სერტიფიკატები, უფლება აქვთ, მოახდინონ სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება შავ ზღვაში დადგენილი საერთაშორისო ნორმების შესაბამისად. დაჯარიმებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ის გემები, რომელთაც, „მარპოლ-73/78“ კონვენციის II, III, IV და V დანართების შესაბამისად, დანადგარები გამოსული აქვთ მწყობრიდან ან თუ ისინი არ შეესაბამებიან კონვენციის მოთხოვნებს. სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ვალდებულია, ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე, დაამტკიცოს დანადგარის მწყობრიდან გამოსვლის ან კონვენციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ფაქტი.

10. გემებიდან და სანაპირო ობიექტებიდან ზღვაში ჩაღვრილი ნავთობპროდუქტების მასა გამოიანგარიშება:

ა) ჩატვირთვა-გადმოტვირთვითი ოპერაციების ჩატარების დროს მილსადენებიდან დაღვრილი ნავთობის მასა გამოიანგარიშდება შემდეგი ფორმულით:

$$P_5 = \rho \times Q \times t$$

სადაც:

ა.ა) P_5 – ჩატვირთვა-გადმოტვირთვითი ოპერაციების ჩატარების დროს მილსადენებიდან დაღვრილი ნავთობის მასა ტონებში;

ა.ბ) ρ – ნავთობის კუთრი წონა, გ/სმ³;

ა.გ) Q – ჩატვირთვის ინტენსიურობა, მ³/სთ;

ა.დ) t – დრო, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობდა ნავთობის დაღვრა, სთ;

ბ) ტანკებში (რეზერვუარებში) ნავთობის მოცულობის გაზომვის საშუალებით დაღვრილი ნავთობის მასა გამოიანგარიშდება შემდეგი ფორმულით:

$$P_5 = \rho \times (V_1 - V_2)$$

სადაც:

ბ.ა) P_5 – ტანკებში (რეზერვუარებში) ნავთობის მოცულობის გაზომვის საშუალებით დაღვრილი ნავთობის მასა ტონებში;

ბ.ბ) ρ – ნავთობის კუთრი წონა, გ/სმ³;

ბ.გ) V_1 – ტანკში (რეზერვუარში) ნავთობის მოცულობა დაღვრამდე, მ³;

ბ.დ) V_2 – ტანკში (რეზერვუარში) ნავთობის მოცულობა დაღვრის შემდეგ, მ³;

გ) ნაპირზე გამორიყული ნავთობის მასის (P_5) გამოანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით:

$$P_5 = S \times h \times P_1$$

სადაც:

გ.ა) P_5 – ნაპირზე გამორიყული ნავთობის მასა ტონებში;

გ.ბ) S – ნავთობით დაბინძურებული ნაპირის ფართობი, მ²;

გ.გ) h – ნიადაგში ნავთობის შეღწევის სიღრმე, მ;

გ.დ) P_1 – დაღვრილი ნავთობის მასა (გ), რომელსაც შეიცავს 1 კუბ. სმ

დაბინძურებული ნიადაგი (გ/სმ³);

გ.ე) ნაპირზე გამორიყული ნავთობის მასა შეიძლება განისაზღვროს ვიზუალურადაც, დანართი 16-ის გამოყენებით.

11. გემებიდან ზღვაში გაუწმენდავი სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$A_{ფეკ.} = Q_{ჩაშ} \times a_{ფეკ.}$$

ა) სადაც:

ა.ა) $A_{ფეკ.}$ – არის სამეურნეო-ფეკალური წყლების ზღვაში ჩაშვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა (ათას ლარებში);

ა.ბ) $Q_{ჩაშ}$ – არის ზღვაში ჩაშვებული სამეურნეო-ფეკალური წყლების მოცულობა, რომლის განსაზღვრა წარმოებს ამ მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით;

ა.გ) $a_{ფეკ.}$ – არის ზღვაში 1 კუბ.მ სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის სიდიდე, რომელიც შეადგენს 1100 ლარს.

12. ზღვაში თხევადი ან მშრალი მავნე ნივთიერებების ჩაშვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშება მათი ტოქსიკურობის კატეგორიების მიხედვით:

ა) ზღვაში მავნე ნივთიერებათა ჩაშვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშება წარმოებს ჩაშვებულ ნივთიერებათა მასისა და მათი ტოქსიკურობის კატეგორიების მიხედვით და გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების „მარპოლ-73/78“ კონვენციის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ) ზღვაში ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა მასა განისაზღვრება ამ პუნქტში მოყვანილი ხერხებით, აგრეთვე სპეციალურად ჩატარებული დაკვირვებების შედეგების მიხედვით;

გ) თხევადი ან მშრალი ტვირთის სახით გადასატანი მავნე ნივთიერებების ტოქსიკურობის კატეგორია დგინდება დანართი 13-ის მიხედვით. ის ნივთიერებები, რომლებიც არ არიან შესული ამ დანართში და რომელთა ტოქსიკურობაც არ არის განსაზღვრული, ზიანის დაანგარიშებისას მიეკუთვნებიან A კატეგორიას.

13. ბალასტური წყლების შავ ზღვაში უნებართვო ჩაღვრის შემთხვევაში წყლის მავნე და პათოგენური ორგანიზმების (ბაქტერიები, ჩხირები და ა.შ.) შემოტანით გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა გამოიანგარიშება დანართი 17-ში

განსაზღვრული ზღვაში ჩაღვრილი ბალასტური წყლების
როადენობის (P_{ბალ.}) მიხედვით.

მუხლი 12. ტექნიკურ რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა
ტექნიკურ რეგლამენტში ცვლილება შედის საქართველოს კანონმდებლობით
დადგენილი წესით.

დანართი 1

საბაზისო ნორმატივები საქართველოს მუნიციპალიტეტების
მიხედვით (ლარებში)

	მუნიციპალიტეტების დასახელება	1 ჰა სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის საბაზისო ნორმატივი (ლარებში)
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა		
1.	გაგრა	30 715
2.	გალი	34 001
3.	გუდაუთა	30 858
4.	გულრიფში	30 858
5.	სოხუმი	33 858
6.	ოჩამჩირე	33 858
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა		
7.	ქედა	28 572
8.	ქობულეთი	34 001
9.	ხელვაჩაური	33 429
10.	ხულო	26 429
11.	შუახევი	26 429
მუნიციპალიტეტები		
1.	ახალგორი	26 286
2.	აბაშა	33 001
3.	ადიგენი	19 715
4.	ამბროლაური	22 000
5.	ასპინძა	19 715
6.	ახალქალაქი	28 572
7.	ახალციხე	26 429
8.	ახმეტა	26 429
9.	ბაღდათი	28 572
10.	ბოლნისი	30 715
11.	ბორჯომი	19 857
12.	გარდაბანი	34 001
13.	გორი	30 715

14.	გურჯაანი	30 858
15.	დმანისი	28 572
16.	დედოფლისწყარო	30 858
17.	დუშეთი	19 715
18.	ვანი	28 572
19.	ზესტაფონი	28 572
20.	ზუგდიდი	31 858
21.	თელავი	30 858
22.	თერჯოლა	29 715
23.	თეთრიწყარო	27 429
24.	თიანეთი	23 858
25.	კასპი	28 572
26.	ლაგოდეხი	29 715
27.	ლანჩხუთი	30 858
28.	ლენტეხი	16 428
29.	მარნეული	34 001
30.	მესტია	15 429
31.	მარტვილი	28 572
32.	მცხეთა	30 715
33.	ნინოწმინდა	28 572
34.	ოზურგეთი	30 857
35.	ონი	17 718
36.	საგარეჯო	27 429
37.	სამტრედია	33 429
38.	საჩხერე	24 286
39.	სიღნაღი	28 572
40.	ტყიბული	19 715
41.	ქარელი	28 572
42.	ყვარელი	28 572
43.	ყაზბეგი	14 286
44.	ცაგერი	23 143
45.	ჩოხატაური	22 429
46.	ჩხოროწყუ	26 429
47.	წალენჯიხა	28 572
48.	წალკა	25 286
49.	წყალტუბო	33 858
50.	სენაკი	30 858
51.	ჭიათურა	15 429
52.	ხაშური	28 572
53.	ხარაგაული	18 715
54.	ხობი	30 858
55.	ხონი	30 858
56.	ცხინვალი	30 715
57.	ჯავა	30 715

58.	თბილისი	34 001
59.	ქუთაისი	33 858
60.	ფოთი	31 858
61.	ბათუმი	34 001
62.	რუსთავი	34 001
63.	განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიები	100 000

დანართი 2

მიწების დაბინძურების ხარისხის შეფასების ცხრილი

	ზღვ, (მგ/კგ ნიადა- გში)	I დონე (დასა- შვები)	II დონე (სუსტი)	III დონე (საშუალო)	IV დონე (ძლიერი)	V დონე (ძალზე ძლიერი)
მიწის დაბინძურების ხარისხზე დამოკიდებული კოეფიციენტი, K		0	1.0	1.5	2.0	2.5
კოეფიციენტი L		<2	2-7	8-32	33-64	>64
არარეგულარი ნაერთები:						
კადმიუმი	2,0	< ზღვ	ზღვ – 3-მდე	3 – 5-მდე	5 – 20	>20
ტყვია	6,0	< ზღვ	ზღვ – 125-მდე	125-250-მდე	250-600	>600
ვერცხლისწყალი	2,1	< ზღვ	ზღვ – 3-მდე	3-5-მდე	5-10	>10
დარიშხანი	2,0	< ზღვ	ზღვ – 20-მდე	20-30-მდე	30-50	>50
ცინკი	23,0	< ზღვ	ზღვ – 500-მდე	500-1500-მდე	1500-3000	>3000
სპილენძი	3,0	< ზღვ	ზღვ – 200-მდე	200-300-მდე	300-500	>500
კობალტი	5,0	< ზღვ	ზღვ – 50-მდე	50-150-მდე	150-300	>300
ნიკელი	4,0	< ზღვ	ზღვ – 150-მდე	150-300-მდე	300-500	>500
მოლიბდენი	4,6	< ზღვ	ზღვ – 40-მდე	40-100-მდე	100-200	>200
კალა	4,5	< ზღვ	ზღვ – 20-მდე	20-50-მდე	50-300	>300
ბარიუმი	2,8	< ზღვ	ზღვ – 200-მდე	200-400-მდე	400-2000	>2000
ქრომი	6,0	< ზღვ	ზღვ – 250-მდე	250-500-მდე	500-800	>800
წყალში ხსნადი ფტორი	10,0	< ზღვ	ზღვ – 15-მდე	15 – 25-მდე	25-50	>50
ვანადიუმი	150,0	< ზღვ	ზღვ – 225-მდე	225-300-მდე	300-350	>350
ორგანული ნაერთები:						
ქლორირებული ნახშირწყალბადები (მათ შორის ქლორმეტცველი პესტიციდები: DDT; GXYG; 2,4D და სხვა).	0,1/	< ზღვ	ზღვ – 5-მდე	5-25-მდე	25-50	>50
ქლორფენოლი	0,3/	< ზღვ	ზღვ – 1-მდე	1-5-მდე	5-10	>10
ფენოლი	0,3/	< ზღვ	ზღვ – 1-მდე	1-5-მდე	5-10	>10
პოლიქლორბიფენილი	/0,06	< ზღვ	ზღვ – 2-მდე	2-5-მდე	5-10	>10

პირიდინი	/0,01	< ზღვ	ზღვ – 0.1-მდე	0.1-3-მდე	3-20	>20
სტიროლი	0,1/	< ზღვ	ზღვ – 5-მდე	5-20-მდე	20-50	>50
ნავთობი	1000	< ზღვ	ზღვ – 2000-მდე	2000-3000-მდე	3000-5000	>5000
ბენზ(ა)პირენი	0,02/	< ზღვ	ზღვ – 0.01-მდე	0.01-0.25-მდე	0.25-0.5	>0.5
ბენზოლი	0,3/	< ზღვ	ზღვ – 1-მდე	1-3-მდე	3-10	>10
ალფამეთილსტროლი	0,5/	< ზღვ	ზღვ – 3-მდე	3-10-მდე	10-50	>50
ქსილოლი (ორთო, მეტა, პარა)	0,1/	< ზღვ	ზღვ – 3-მდე	3-30-მდე	30-100	>100
გოგირდოვანი შენაერთები გოგირდზე გადაანგარიშებით	160/	< ზღვ	ზღვ – 180-მდე	180-250-მდე	250-380	>380
2,4 D დიქლორფეოქსიმარმჟავა	0,1/	< ზღვ	ზღვ – 1-მდე	1-3-მდე	3-10	>10
ატრაზინი	0,01/	< ზღვ	ზღვ – 3-მდე	3-10-მდე	10-30	>30
აგელონი	0,01/	< ზღვ	ზღვ – 0,5-მდე	0,5-10-მდე	10-20	>20
ბენზინი	0,1/	< ზღვ	ზღვ – 2-მდე	2-10-მდე	10-30	>30
დეცისი	0,01/	< ზღვ	ზღვ – 0,1-მდე	0,1-0,25-მდე	0,25-0,5	>0,5
ბაილეთონი	/0,4	< ზღვ	ზღვ – 2-მდე	2-10-მდე	10-30	>30
ბაიფიდან	/0,02	< ზღვ	ზღვ – 0,1-მდე	0,1-0,5-მდე	0,5-5	>5
ზენკორი	0,2/	< ზღვ	ზღვ – 2-მდე	2-10-მდე	10-20	>20
პირამინი	/0,7	< ზღვ	ზღვ – 5-მდე	5-15-მდე	15-30	>30
მეტაზინი	/0,1	< ზღვ	ზღვ – 1-მდე	1-3-მდე	3-10	>10
პრომეტრინი	0,05/	< ზღვ	ზღვ – 1-მდე	1-4-მდე	4-10	>10
ტრიფორინი	/0,003	< ზღვ	ზღვ – 0,01-მდე	0,01-0,05-მდე	0,05-0,5	>0,5
პირიდატი	0,03/	< ზღვ	ზღვ – 0,1-მდე	0,1-3-მდე	3-10	>10
ტოლუოლი	0,3/	< ზღვ	ზღვ – 1-მდე	1-5-მდე	5-10	>10

დანართი 3

მიწების დაბინძურების სიღრმის მიხედვით გადასაცემი კოეფიციენტი (H)

დაბინძურების სიღრმე, სმ	H
0–20	10
0–50	20
>50	25

დანართი 4

საქართველოს ტყეზე და ტყის რესურსებზე უკანონო ქმედებით ზიანის მიყენებისას გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშება

უკანონო ტყითსარგებლობის სახე	გარემოსთვის
------------------------------	-------------

		მიყენებული ზიანის გამოანგარიშება (ლარებში)
1	2	
1.	სოციალური ჭრის ტყეკაფის ან ტყითმოსარგებლის მიერ ტყეკაფის გამოყოფის წესის დარღვევა (გარდა გამოყოფილი ტყეკაფის სიმაღლის თანრიგსა და შემოწმების შედეგად დადგენილ ფაქტობრივი სიმაღლის თანრიგებს შორის სხვაობისა, თუ ტყეკაფში მოჭრილი ხეების მოცულობა არ აღემატება ტყეკაფის ფაქტობრივი სიმაღლის თანრიგით დასაშვებ მოცულობას)	– ათვისებულ ტყეკაფზე – ტყეკაფში მოჭრილი და გამოზიდული ხე-ტყის შესაბამისი სახეობისათვის დადგენილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესაბამისი მოსაკრებლის საერთო ოდენობის (თანხის) 30%, ხოლო ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში განხორციელებული ჭრების შემთხვევაში – ტყეკაფში მოჭრილი და გამოზიდული ხე-ტყის შესაბამისი სახეობის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის საერთო ოდენობის (თანხის) 30% – ნაწილობრივ ათვისებულ ტყეკაფზე – ტყეკაფში მოჭრილი და გამოზიდული ხე-ტყის შესაბამისი სახეობისათვის დადგენილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესაბამისი მოსაკრებლის ოდენობის 30%, ხოლო ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში განხორციელებული ჭრების შემთხვევაში – ტყეკაფში მოჭრილი და გამოზიდული ხე-ტყის შესაბამისი სახეობის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის საერთო ოდენობის (თანხის) 30%
2.	ჭრის შედეგად ტყეკაფში კორომის სიხშირის ნორმაზე დაბლა დაყვანა	ნორმაზე ზევით მოჭრილი ზეზემდგომი ხისთვის – ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა
3.	ტყეკაფის ათვისების შემდეგ, თუ დადგინდა, რომ ტყეკაფზე ხმელი, ხმობადი, ძლიერ დაზიანებული ხეები ჭრაში არ იქნა დანიშნული ან ჭრაში დანიშნული ხეები არ იქნა მოჭრილი და გამოზიდული (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა)	ჭრაში არდანიშნული ან ჭრაში დანიშნული და ტყეკაფში მოუჭრელად და გამოუზიდავად დატოვებული მერქნული რესურსის – ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის მე-3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ოთხმაგი ოდენობა.
4.	ტყეკაფში ჭრის დროს ჭრაში დაუნიშნავი ფესვის ყელზე 12 სმ-ისა და მეტი დიამეტრის მქონე ხეების წაქცევა ან ღეროს გადატეხა, მოჭრილი ხეების 10%-ზე მეტი ოდენობის შემთხვევაში	მოჭრილი ხეების ოდენობის 10%-ზე ზევით დაზიანებული თითოეული ხისთვის – ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ³-ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი ხარისხის ხისთვის – პირველი კატეგორიის, ხოლო მეორე ხარისხის ხისთვის – მესამე კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის სამმაგი ოდენობა. შენიშვნა: ერთდროულად 2 ან მეტი მერქნიანი მცენარის დაზიანების შემთხვევაში, დასაშვებ პროცენტულ ოდენობაში პირველ რიგში ჩაითვლება ბუნებრივი რესურსების დაბალი მოსაკრებლის ან/და მცირე დიამეტრის მქონე ხეები
5.	მოჭრილი და მიყუდებული ან ნახევრად ჩაჭრილი (საშიში) ხეების	თითოეული ხისთვის – ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის

	დატოვება	პირველი ხარისხის ხისთვის – პირველი კატეგორიის, ხოლო მეორე ხარისხის ხისთვის – მესამე კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა
6.	მოზარდ-აღმონაცენის ამოძირკვა ან მოჭრა, ან განადგურება (გარდა მოჭრილი ხის წაქცევითა და დადგენილი წესით მორთრევით გამოწვეული დაზიანებისა/განადგურებისა)	ამოძირკვულ, დაზიანებულ ან განადგურებულ ფესვის ყელზე 12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის თითოეული მცენარისათვის – ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა
7.	ცოცხალი (ნედლი) მერქნიანი მცენარეების (ფესვის ყელზე 12 სმ-ისა და მეტი დიამეტრის მქონე) ნარგაობის უკანონოდ ამოძირკვა, მოჭრა ან დაზიანება, რამაც მათი სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტა გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს	ა) ამოძირკვული (ნებისმიერი ხარისხის) ხის თითოეული კუბური მეტრისთვის – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის შვიდმაგი ოდენობა, ხოლო საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული პირველი კატეგორიის დაცული ტყის შემთხვევაში ათმაგი ოდენობა; შენიშვნა: თუ ამოძირკვული ხის სახეობის დადგენა შეუძლებელია, ზიანის გაანგარიშება ხდება აღნიშნულ ფართობზე ან ლიტერში გაშენებული ან გაბატონებული ხის სახეობის მიხედვით; ბ) მოჭრილი ან დაზიანებული პირველი ხარისხის ხის თითოეული კუბური მეტრისთვის – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის შვიდმაგი ოდენობა, ხოლო საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული პირველი კატეგორიის დაცული ტყის შემთხვევაში ათმაგი ოდენობა; გ) მოჭრილი ან დაზიანებული მეორე ხარისხის ხის თითოეული კუბური მეტრისთვის – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის მე-3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის შვიდმაგი ოდენობა, ხოლო საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული პირველი კატეგორიის დაცული ტყის შემთხვევაში ათმაგი ოდენობა;
8.	ჭრის შედეგად მიღებული ნარჩენების განთავსების დადგენილი წესის დარღვევა (9.08.2022 N421 გავრცელდეს 2022 წლის 20 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)	გაუწმენდავად დატოვებულ ტყეკაფის თითოეულ ჰექტარზე ჭრაში დანიშნული გაბატონებული ხის სახეობის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის ასმაგი ოდენობა.
9.	საქმიანობის შედეგად ნიადაგის დეგრადაცია, რაც გამოიწვევს ეროზიულ პროცესებს, თუ ტყეკაფის ათვისებისთანავე შესაბამისი ტერიტორია აღდგენილ არ იქნა	ამ შემთხვევაში, ზიანი იანგარიშება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის შესაბამისად

	პირვანდელ ან მასთან მიახლოებულ მდგომარეობაში	
10.	გამოფისვა	გამოფისული შესაბამისი ხარისხის ხისთვის – ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი ხარისხის ხისთვის – პირველი კატეგორიის, ხოლო მეორე ხარისხის ხისთვის – მესამე კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის სამმაგი ოდენობა
11.	ტყის კულტურების განადგურება ან დაზიანება	ყოველ განადგურებულ ფესვის ყელზე 12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე მცენარეზე – 20 ლარი
12.	წიწვიანი სახეობის მერქნიან მცენარეთა ფესვის ყელზე 12 სმ-მდე დიამეტრის სახეობების უკანონოდ მოჭრა ან წიწვიანი სახეობის მერქნიან მცენარეთა ფესვის ყელზე 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის სახეობებისათვის ვარჯის წვერის წაჭრით მცენარის დაზიანება	ყოველ მოჭრილ ან დაზიანებულ მცენარეზე – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის შვიდმაგი ოდენობა
13.	მინდორსაცავი და ქარსაცავი ტყის ზოლების ან სხვა დამცავი ნარგავების დაზიანება, რაც მცენარის სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტას არ გამოიწვევს	დაზიანებული პირველი ხარისხის ხისთვის – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ერთმაგი ოდენობა; დაზიანებული მეორე ხარისხის ხისთვის – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის მე-3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ერთმაგი ოდენობა
14.	ტყის ნაყოფმომცემი (ჯონჯოლი, ქაცვი, კოჩხური, შინდი, ნუში და სხვა) მცენარეების მოჭრა	ყოველ მოჭრილ მცენარეზე – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა
15.	ბზის ან უთხოვარის მოჭრა, ამოძირკვა ან დაზიანება ტოტების მოჭრით	ა) ყოველ მოჭრილ ან ამოძირკვულ უთხოვარზე ან/და ბზაზე ერთ ძირზე – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ათმაგი ოდენობა; ბ) თუ ცნობილია დაზიანებული მცენარეების რაოდენობა, ყოველ დაზიანებულ მცენარეზე – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის 15%; გ) თუ დაზიანებული მცენარეების რაოდენობის დადგენა შეუძლებელია – ყოველ მოტეხილ 20 სმ-მდე სიგრძის ტოტზე – 1 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მოტეხილ 20 სმ-ზე მეტი სიგრძის ტოტზე – 2 ლარის ოდენობით
16.	ზეხმელი, ჩახერგილი (მათ შორის, წაქცეული) ხეების უნებართვოდ	ასეთ თითოეულ ხეზე – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი

	მოჭრა, დამზადება	ჯგუფის მე-3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა
17.	უკანონო მოვება სახელმწიფო ტყის დაცულ ტერიტორიებზე	დაზიანებულ ან განადგურებულ მცენარეზე – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის 5%
18.	საქართველოს ტყის ფართობის მითვისება (თვითნებური ან უკანონო დაკავება, ასევე დაუბრუნებლობა) შენობა-ნაგებობის განთავსებით (გარდა დროებითი შენობა-ნაგებობისა) (<i>შენიშვნა</i>)	შენობა-ნაგებობით დაკავებული ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე – შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტის დანართ 1-ით გათვალისწინებული 1 ჰა ურწყავი სახნავის ათვისების საბაზისო ნორმატივის მიხედვით, 1 კვ.მ-ისთვის დადგენილი საბაზისო ნორმატივის შესაბამისად განსაზღვრული თანხის ხუთმაგი ოდენობა
19.	საქართველოს ტყის მიწებზე ტყის დაზიანება რადიექტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან სხვა მავნე ნივთიერებებით, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი ჭამდინარე წყლებითა და ნარჩენებით, აგრეთვე მავნე ნივთიერებათა გაფრქვევით	მიწის დაზიანების შემთხვევაში, ზიანი იანგარიშება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის შესაბამისად გამხმარ ან დაზიანებულ მერქნიან თითოეულ მცენარეზე, ასევე არამერქნიან თითოეულ მცენარეზე (ბუჩქნარები) – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ათმაგი ოდენობა
20.	ბუჩქების (ასევე ქვეტყის) ამოძირკვა, მოჭრა	ყოველ ასეთ მოჭრილ ან ამოძირკვულ მცენარეზე შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა; თუ ამოძირკვული მცენარის სახეობის დადგენა შეუძლებელია, ზიანის გაანგარიშება ხდება აღნიშნულ ფართობზე გაშენებული ან გაბატონებული სახეობის მიხედვით
21.	ტყის არამერქნული რესურსების უნებართვოდ შეგროვება სამეწარმეო მიზნით ან რესურსის მოპოვება ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტში მითითებული ვადების დარღვევით ან ტერიტორიის გარეთ	გარემოდან ამოღებულ შესაბამის მცენარეთა არამერქნული რესურსებითა და მათი პროდუქტებით სარგებლობისთვის დაწესებული მოსაკრებლის ათმაგი ოდენობა
22.	ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებითა და ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სამრეწველო მიზნით სარგებლობა ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტის გარეშე ან სარგებლობა ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტში მითითებული ვადების დარღვევით ან ტერიტორიის გარეთ	მოპოვებული პროდუქციის სარგებლობისთვის დაწესებული მოსაკრებლის ხუთმაგი ოდენობა
23.	უკანონო ხვნა დაცულ ტყეში	ყოველი 1 მ ² მოხნული მიწისთვის – 10 ლარი

24.	სანიტარიული ჭრის (ზეხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი (ფუტურო) და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრა) ისეთ სიხშირეში ჩატარება, რომელიც იწვევს სიხშირის 0,3-ზე ან ნაკლებზე დაყვანას განსაკუთრებული აუცილებლობის ან სათანადო არგუმენტების არარსებობისას	ა) მოჭრილი პირველი ხარისხის ხისთვის – შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისთვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის სამმაგი ოდენობა; ბ) მოჭრილი მეორე ხარისხის ხისთვის შესაბამის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისთვის შესაბამისი ჯგუფის მე-3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის სამმაგი ოდენობა
25.	უკანონო მრგვალი ხე-ტყის ტრანსპორტირება, შენახვა	შესაბამისი სახეობის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის პირველი კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის შვიდმაგი ოდენობა
26.	უკანონო ხე-ტყის (გარდა მრგვალი ხე-ტყისა (მორისა)) ტრანსპორტირება, შენახვა	შესაბამისი სახეობის ტყის მერქნიან სახეობათა (1 მ ³ -ის) სარგებლობისათვის შესაბამისი ჯგუფის მე-3 კატეგორიისთვის დადგენილი მოსაკრებლის შვიდმაგი ოდენობა.

შენიშვნა:

დროებითი შენობა-ნაგებობა არის ანაკრები ელემენტებისგან შედგენილი, ასაწყობ დასაშლელი ან/და მობილური კონსტრუქციული სისტემა, რომელიც მიწასთან ან/და წყალთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და არ გააჩნია მიწისქვეშა სათავსები (გარდა სატრანსპორტო საშუალებისა).

დანართი 5

მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულება ლარებში

	I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი	IV ჯგუფი		V ჯგუფი
4 სმ-მდე ჩათვლით	17	15	12	8	6	
4,1-8 სმ	32	30	22	17	13	
8,1-12 სმ	47	45	35	32	20	
12,1-16 სმ	62	60	45	42	27	
16,1-20 სმ	77	75	55	50	34	
20,1-24 სმ	92	90	65	55	41	
24,1-28 სმ	107	105	75	55	48	
28,1-32 სმ	122	120	90	55	55	
32,1-36 სმ	137	135	110	55	55	
36,1-40 სმ	152	150	130	55	55	
40,1-44 სმ	167	165	145	55	55	
44,1-48 სმ	182	180	160	55	55	
48,1-52 სმ	197	195	170	55	55	
52,1-56 სმ	212	210	180	55	55	

56,1 სმ-ის ზევით	235	225	200	55	55	
------------------	-----	-----	-----	----	----	--

დანართი 6 (25.02.2026 N 81)

თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების უკანონო მოპოვების შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა

№	მოპოვებული რესურსი	ზიანის ოდენობა ერთ კილოგრამზე ლარებში
ქიცვიანი ზვიგენისებრნი		
1	ქიცვიანი ზვიგენი (კატრანი)	24,3
სკაროსისებრნი		
2	ზღვის მელა, ქიცვიანი სკაროსი	22,3
კუდჩხვლეტიასებრნი		
3	ზღვის კატა	22,3
ზუთხისებრნი		
4	სვია	155
5	ფორეჯი (ჯარადანა)	155
6	შავი ზღვა – აზოვის (კოლხური ზუთხი)	155
7	ფორონჯი (ატლანტური ზუთხი)	155
8	ტარადანა	155
ქაშაყისებრნი		
9	შავი ზღვის ქარსალა (შპროტი)	6
10	ჩვეულებრივი ქარსალა	6
11	ტროპიკული სარდინე	21,7
12	სარდინელა	21,7
13	პალიასტომის ქაშაყი (ლიპა ქაშაყი)	21,7
14	აზოვის ქაშაყი	21,7
15	შავი ზღვის ქაშაყი	24,5
16	შავი ზღვის ქაფშია	8,2
17	აზოვის ქაფშია	8,2
ორაგულისებრნი		
18	შავი ზღვის ორაგული	126
19	მდინარის/ტბის კალმახი	84,8
20	ცისარტყელა კალმახი	49,8
სიგისებრნი		
21	ჭაფალა	55
22	ლადოგური რიპუსი	26,4
23	პელიადი	26,4
24	ლადოგური სიგი	26,4
ქარიყლაპიასებრნი		
25	წერი (ქარიყლაპია)	24,1
გველთევზასებრნი		

26	მდინარის გველთევზა	120
27	ზღვის გველთევზა	120
კობრისებრნი		
28	ნაფოტა	18,5
29	მორვის ნაფოტა	41,2
30	კავკასიური ქაშაპი	20,5
31	ჯუჯა ქაშაპი	12,8
32	ფარფლწითელა	14,4
33	შავწარბა	25,2
34	სქელშუბლა	22,1
35	ჭერები	41,2
36	გუწუ (ლოქორია)	28,2
37	ტობი	41,2
38	ამიერკავკასიური ციმორი	41,2
39	ხრამული	60
40	წვერა	43
41	თრისა (შამაია)	45
42	კარჩხანა	18,7
43	თეთრი ამური	31,9
44	ჩვეულებრივი ბლიკა	38,2
45	ამიერკავკასიური ბლიკა	18,5
46	კაპარჭინა	41
47	მცირე ვიმბა	26,4
48	ტაფელა	10
49	ველური კობრი, გოჭა	60
50	მურწა	40
51	ჭანარი	41,2
ლღავისებრნი		
52	მდინარის ლღავი (ლოქო)	70
სარღანისებრნი		
53	სარღანი	82,5
ვირთევზასებრნი		
54	ზღვის ლლაბუტა	21,7
55	მერლანგი	78,9
56	მერლუზა	26,3
ზღვის ქორჭილასებრნი		
57	ლაგრაკი	36,5
მდ. ქორჭილასებრნი		
58	მდინარის ქორჭილა	18,2
59	ფარგა	34,3
სტავრიდასებრნი		
60	შავი ზღვის სტავრიდა	73,5
61	აზოვის სტავრიდა	73,5
ლუფარისებრნი		

62	ლუფარი	36,5
ნაგვერდულასებრნი		
63	ბაცი და მუქი ნაგვერდულა (კუზანულა)	66,3
სპარისებრნი		
64	ზღვის კარჩხანა	21,7
სმარიდისებრნი		
65	სმარიდა	21,7
ხონთქარასებრნი (ბარაბულისებრნი)		
66	შავი ზღვის ხონთქარა (ბარაბული)	87,3
ლაბრადისებრნი		
67	მწვანულა	21,7
ზღვის ურჩხულისებრნი		
68	ზღვის ურჩხული	25,8
ვარსკვლავთმრიცხველისებრნი		
69	ზღვის ძროხა (ვარსკვლავთმრიცხველი)	21,7
გველმზგავსასებრნი		
70	გველმზგავსა (ოფიდიონი)	21,7
სკუმბრიასებრნი		
71	თინუსი	37,5
72	პელამიდა	28
73	სკუმბრია	25,5
ლორჯოსებრნი		
74	მდინარის ღორჯოები	8,8
75	ზღვის ღორჯოები	22,1
76	ლორჯოსებრნი	14,4
სკორპენასებრნი		
77	სკორპენა (ზღვის ჩიქვი)	21,7
ზღვის მამლისებრნი		
78	ზღვის მამალი	40
კეფალისებრნი		
79	ჩვეულებრივი კეფალი (ლობანი)	32
80	ოქროსფერი კეფალი	32
81	მახვილცხვირა კეფალი	32
82	ელინგასი	32
ზღვის ენისებრნი		
83	ზღვის ენა	19,1
კალკანისებრნი		
84	შავი ზღვის კალკანი	142
კამბალასებრნი		
85	მდინარის კამბალა (გლოსა)	38,2
86	მდინარის კიბო	70
87	ლაპანი	21,2
88	მიდია და სხვა ორსაგდულიანი მოლუსკები	28,9
89	გარნელი (კრევერები) და სხვა ათფეხიანი	25

	კიბორჩხალები	
სხვა თევზები და ჰიდრობიონტები		
90	სხვა თევზები და ჰიდრობიონტები	12,5
91	წყალმცენარეები	0,50
ზღვის ძუძუმწოვრები		ზიანის ოდენობა თითოეულ ეგზემპლარზე, ლარებში
92	თეთრგვერდა დელფინი	7000
93	აფალინა	50 000
94	ზღვის ღორი	10 500

დანართი 7

**ცხოველთა სამყაროს ობიექტების უკანონოდ მოპოვებით გარემოსთვის მიყენებული
ზიანის გამოანგარიშება**

№	ცხოველთა სამყაროს ობიექტთა სახეობების ჩამონათვალი	ზიანის თანხა 1 სულზე ლარებში
	ლორიხვასნაირნი	
1.	წითელყელა ღორიხვა	45
2.	შავყელა ღორიხვა	45
	კოკონასნაირნი (მურტალასნაირნი)	
3.	დიდი კოკონა	30
4.	რუხლოყება კოკონა	30
5.	სწორნისკარტა (ან წითელყელა) კოკონა	30
6.	აპრეხილნისკარტა (ან შავყელა) კოკონა	30
7.	მცირე კოკონა	30
	ქარიშხალასნაირნი	
8.	ხმელთაშუაზღვის ქარიშხალა	40
	ვარხვისნაირნი	
9.	ვარდისფერი ვარხვი	250
10.	ქოჩორა (ხუჭუჭა) ვარხვი	250
11.	დიდი ჩვამა	45
12.	ქოჩორა ჩვამა	45
13.	მცირე ჩვამა	250
	ყარყატისნაირნი	
14.	რუხი ყანჩა	60
15.	წითური (ქარცი) ყანჩა	60
16.	დიდი თეთრი ყანჩა	60
17.	მცირე თეთრი ყანჩა	60
18.	ეგვიპტური (მწყემსი) ყანჩა	60
19.	ყვითელი ყანჩა	60

20.	ღამის ყანჩა	60
21.	მცირე ყარაულა	50
22.	დიდი ყარაულა (წყლის ბულა)	250
23.	ჟერო	250
24.	ივეოსი	50
25.	თეთრი ყარყატი	60
26.	შავი ყარყატი	60
	ფლამინგოსნაირნი	
27.	ჩვეულებრივი ფლამინგო	150
	ბატისნაირნი	
28.	წითელნისკართა (სისინა) გედი	400
29.	ყვითელნისკარტა (მყივანი) გედი	400
30.	მცირე მყივანი გედი	150
31.	რუხი ბატი	150
32.	მეკალოე ბატი	150
33.	მცირე თეთრშუბლა ბატი	300
34.	დიდი თეთრშუბლა ბატი	150
35.	წითელყელა ბატი (წითელჩიჩახვა კაზარი)	400
36.	ამლაყი იხვი	60
37.	წითელი იხვი	400
38.	გარეული იხვი	60
39.	რუხი იხვი	60
40.	თეთრშუბლა იხვი	60
41.	სტვენია იხვი (ჭიკვარა)	60
42.	ჭახჭახა იხვი (იხვინჯა)	50
43.	ბოლოსადგისა (კუდსადგისა) იხვი	50
44.	განიერნისკარტა იხვი	50
45.	მარმარილოსებრი იხვი	50
46.	წითელნისკარტა ყურყუმელა	300
47.	ქოჩორა ყვინთია	50
48.	ზღვის ყვინთია	50
49.	წითელთავა ყვინთია	50
50.	თეთრთავა ყვინთია	50
51.	თეთრფრთიანი გარიელა (ტურპანი)	400
52.	ამაყა	50
53.	დიდი ბატასინა	50
54.	გრძელნისკარტა ბატასინა	50
55.	მცირე ბატასინა	50
56.	თეთრთავა იხვი	400

	შევადნისნაირნი	
57.	შაკი	400
58.	თეთრკუდა ფსოვი (თეთრკუდა არწივი)	600
59.	წითელი ძერა (ბორა)	80
60.	ძერა	80
61.	გველიჭამია (ძერაბოტი)	600
62.	ქორცვეტა (შავთვალა მიმინო, ლევანმიმინო)	80
63.	მიმინო	80
64.	ქორი	50
65.	ჩვეულეზრივი კაკაჩა	50
66.	ფეხბანჯგვლიანი კაკაჩა	50
67.	ველის (გრძელფეხა) კაკაჩა	50
68.	კრაზანაჭამია (ირაო)	50
69.	ქორისეზრი არწივი	80
70.	ჩია არწივი	80
71.	ბექობის (თეთრმზრება) არწივი	550
72.	დიდი მყივანი არწივი (დიდი თეთრლაქებიანი არწივი)	60
73.	მცირე მყივანი არწივი (მცირე თეთრლაქებიანი არწივი)	60
74.	ველის არწივი	550
75.	მთის არწივი	550
76.	ფასკუნჯი	550
77.	ბატკანძერი (წვერიანი სვაჲი, ყაჯირი, კრავიჭამია)	550
78.	სვაჲი	550
79.	ორბი	550
80.	ჭაობის ძელქორი (ჭაობის ბოლობეჭედა)	80
81.	მინდვრის ძელქორი (მინდვრის ბოლობეჭედა)	80
82.	ველის ძელქორი (ველის ბოლობეჭედა)	80
83.	მდელოს ძელქორი (მდელოს ბოლობეჭედა)	80
84.	ზარი (გავაზი)	600
85.	წითელთავა შავარდენი	600
86.	შავარდენი	600
87.	მარჯანი	150
88.	ალალი	150
89.	წითელფეხა შავარდენი	150
90.	მცირე კირკიტა (ველის კირკიტა)	600
91.	ჩვეულეზრივი კირკიტა	80

	ქათმისნაირნი	
92.	კავკასიური როჭო	400
93.	კავკასიური შურთხი	200
94.	კასპიური შურთხი	400
95.	კაკაბი	40
96.	გნოლი	250
97.	მწყერი	30
98.	დურაჯი	500
99.	კოლხური ხოხობი	120
	წეროსნაირნი	
100.	რუხი წერო	400
101.	წეროტურფა	400
102.	სავათი	400
103.	სარსარაკი	400
104.	ლაინა	50
105.	ქათამურა	50
106.	მცირე ქათამურა	50
107.	პაწაწა ქათამურა	400
108.	ღაღლა	50
109.	წყლის ქათამურა	50
110.	მელოტა	50
111.	ხონთქრის ქათამი	400
	მეჭვავიასნაირნი	
112.	ზრვის კაჭკაჭი (სირკაჭკაჭი)	30
113.	ოჩოფეხა	200
114.	სადგისნისკარტა	200
115.	საყელოიანი წინტალა	30
116.	მცირე წინტალა	30
117.	ზღვის წინტალა	30
118.	ტიბუარა (მღრინავი)	30
119.	აზიური წინტალა	30
120.	სქელნისკარტა წინტალა	30
121.	ოქროსფერი მეჭვავია	30
122.	რუხი მეჭვავია (კვათარი)	30
123.	მეკენჭია	30
124.	პრანწია	30
125.	ველის პრანწია	30
126.	თეთრკულა პრანწია	30
127.	თავზოლა მექვიშია	30

128.	წითელგულა მექვიშია	30
129.	შავმუცელა მექვიშია	30
130.	თეთრკუდა მექვიშია	30
131.	მცირე მექვიშია (კოკორინა-ბელურა)	30
132.	ისლანდიური მექვიშია	30
133.	ქვიშაქექია	30
134.	წითელკისერა (მრგვალნისკარტა) ტივტივა	30
135.	რუხი აპრეხილნისკარტა მექვიშია	30
136.	წითელფეხა მენაპირე (მსევანი)	30
137.	ლაქებიანი წითელფეხა მენაპირე (კობტა ოვილო)	30
138.	მწვანეფეხა მენაპირე (დიდი ჭოვილო)	30
139.	ჭაობის მენაპირე (მერუე)	30
140.	ტყის მენაპირე	30
141.	შავი მენაპირე	30
142.	ჩვეულებრივი მექვიშია (მებორნე)	30
143.	ტურუხტანი (მაჩხუბარა კოკორინა)	30
144.	დიდი კრონშნეპი	30
145.	წვრილნისკარტა (მცირე) კრონშნეპი	30
146.	საშუალო კრონშნეპი	30
147.	დიდი (შავკუდა) ლია	30
148.	ზოლიანკუდა ლია	30
149.	ტყის ქათამი (ვალდშნეპი)	30
150.	დიდი ჩიბუხა (გოჭა)	30
151.	ჩიბუხა	30
152.	ჩიბუხელა (გარშნეპი)	30
153.	თვალჭყეტია	30
154.	შავფრთიანი მერცხალა	30
155.	ქლადფრთიანი მერცხალა	30
156.	წვრილნისკარტა თოლია	30
157.	დიდი შავთავა თოლია	200
158.	ტბის თოლია	30
159.	მცირე თოლია	30
160.	შავთავა თოლია	30
161.	სომხური თოლია	30
162.	ყვითელფეხა თოლია	30
163.	შავზურგა (ფრთაშავი) თოლია	30
164.	ზღვის დიდი თოლია	30
165.	ვეჟანი თოლია	30

166.	აუდოუნის თოლია	30
167.	განიერკუდა თოლია-მეკობრე	30
168.	ვიწროკუდა თოლია-მეკობრე	30
169.	გრძელკუდა თოლია-მეკობრე	30
170.	თოლისნისკარტა თევზიყლაპია	30
171.	ჭრელნისკარტა თევზიყლაპია	30
172.	ჩვეულეზრივი თევზიყლაპია	30
173.	მცირე თევზიყლაპია	30
174.	კასპიური თევზიყლაპია	200
175.	ფრთათეთრი თევზიყლაპია	30
176.	შავი თევზიყლაპია	30
177.	ლოყათეთრი თევზიყლაპია	30
	მტრედისნაირნი	
178.	თეთრმუცელა გვრიტჩიტა	30
179.	შავმუცელა გვრიტჩიტა	30
180.	გარეული მტრედი	30
181.	გულიო (გვიძინი)	30
182.	ქედანი	30
183.	ჩვეულეზრივი გვრიტი	30
184.	საყელოიანი გვრიტი	30
185.	სენეგალური (მაცინარა) გვრიტი	30
186.	გუგულისნაირნი	
187.	გუგული	30
188.	ბუსნაირნი	
189.	ზარნაშო	50
190.	ყურეზიანი ბუ (ოლოლი)	50
191.	ჭაობის ბუ	50
192.	წყრომი	50
193.	ბუკიოტი	50
194.	ჭოტი	40
195.	ტყის ბუ	40
196.	ბუხრინწა	40
	უფეხურასნაირნი	
197.	უფეხურა	40
	ნამგალასნაირნი	
198.	ნამგალა	30
199.	მეკირია (ანუ თეთრმუცელა ნამგალა)	30
	ყაპყაპისნაირნი	
200.	ოქროსფერი კვირიონი	30

201.	მწვანე კვირიონი	30
202.	ყაპყაპი	30
203.	ალკუნი	30
204.	ოფოფი	30
	კოდალასნაირნი	
205.	შავი კოდალა	40
206.	მწვანე კოდალა	40
207.	სირიული კოდალა	40
208.	დიდი ჭრელი კოდალა	200
209.	საშუალო ჭრელი კოდალა	40
210.	თეთრზურგა კოდალა	40
211.	მცირე ჭრელი კოდალა	40
212.	მაქცია	40
	ბელურასნაირნი	
213.	რქოსანი ტოროლა	30
214.	მცირე მოკლეთითა ტოროლა	30
215.	დიდი მოკლეთითა ტოროლა	30
216.	ორკოპლიანი ტოროლა	30
217.	ველის ტოროლა	30
218.	ფრთათეთრი ტოროლა	30
219.	ტყის ტოროლა	30
220.	მინდვრის ტოროლა	30
221.	ქოჩორა ტოროლა	30
222.	სოფლის მერცხალი	30
223.	კლდის მერცხალი	30
224.	მენაპირე მერცხალი	30
225.	ქალაქის მერცხალი	30
226.	ტყის მწყერჩიტა	30
227.	მდელოს მწყერჩიტა	30
228.	წითელგულა მწყერჩიტა	30
229.	მთის მწყერჩიტა	30
230.	მინდვრის მწყერჩიტა	30
231.	თეთრი ბოლოქანქარა	30
232.	რუხი ბოლოქანქარა	30
233.	ყვითელი ბოლოქანქარა	30
234.	ყვითელთავა ბოლოქანქარა	30
235.	მედუდუკე	30
236.	რუხი ღაჟო	30
237.	შავშუბლა ღაჟო	30

238.	წითელთავა ღაჟო	150
239.	ჩვეულებრივი ღაჟო	30
240.	ტყის ჭვინტაკა	30
241.	თეთრწარბა ჭვინტაკა	30
242.	ალპური ჭვინტაკა	30
243.	ჭრიჭინა-მეჩალია	30
244.	ჭრიჭინა-ჩიტი	30
245.	ბულბულისებრი ჭრიჭინა-ჩიტი	30
246.	ლელიანის მეჩალია	30
247.	ჭაობის მეჩალია	30
248.	ლელიანის დიდი მეჩალია (შაშვისებრი მეჩალია)	30
249.	შავთხემა მეჩალია	30
250.	ჭახჭახა მეჩალია	30
251.	წყლის მეჩალია	30
252.	გრძელკუდა მეჩალია	30
253.	ფართოკუდა ლერწამა	30
254.	მწვანე ბუტბუტა (მქირდავი)	30
255.	ბაცი ბუტბუტა (მქირდავი)	30
256.	ბოლომქნევარა ბუტბუტა (მქირდავი)	30
257.	მურა ბუტბუტა (მქირდავი)	30
258.	დიდი თეთრყელა ასპუჭაკა	30
259.	მცირე თეთრყელა ასპუჭაკა	30
260.	ბალის ასპუჭაკა	30
261.	მიმინოსებრი ასპუჭაკა	30
262.	შავთავა ასპუჭაკა	30
263.	ყვითელთვალა ასპუჭაკა	30
264.	წითელთვალა ასპუჭაკა	30
265.	გაზაფხულა ჭივჭავი (ყარანა)	30
266.	ჩვეულებრივი ჭივჭავი (ყარანა)	30
267.	კავკასიური ჭივჭავი (ყარანა)	30
268.	თეთრმუცელა ჭივჭავი (ყარანა)	30
269.	მომწვანო ჭივჭავი (ყარანა)	30
270.	ყვითელთავა ნარჩიტა (ღაბუაჩიტი)	30
271.	წითელთავა ნარჩიტა (ღაბუაჩიტი)	130
272.	რუხი ბუზიჭერია (მემატლია)	30
273.	ჭრელი ბუზიჭერია (მემატლია)	30
274.	თეთრყელა ბუზიჭერია (მემატლია)	30
275.	წითელყელა (მცირე) ბუზიჭერია (მემატლია)	30

276.	ნახევრად-თეთრყელა ბუზიჭერია (მემატლია)	30
277.	შავთავა ოვსადი	30
278.	თეთრწარბა (მდელოს) ოვსადი	30
279.	კლდის ლურჯი შაშვი	30
280.	კლდის ჭრელი შაშვი	30
281.	ჩვეულებრივი მეღორღია	30
282.	უდაბნოს მეღორღია	30
283.	ბუქნია-მეღორღია	30
284.	წითელკუდა მეღორღია	30
285.	შავყურა მეღორღია	30
286.	შავზურგა მეღორღია (მელოტჩიტა)	30
287.	თეთრზურგა მეღორღია (მელოტჩიტა)	30
288.	შავი ბოლოცეცხლა	30
289.	ბოლოცეცხლა	30
290.	წითელმუცელა ბოლოცეცხლა	130
291.	გულწითელა	30
292.	ცისფერგულა	30
293.	აღმოსავლური ბულბული (იადონი)	40
294.	ჩვეულებრივი ბულბული (იადონი)	40
295.	თეთრყელა ბულბული (იადონი)	40
296.	ჟღალი ბულბული (მაფშალია, წითური ასპუჭაკა)	130
297.	შაშვი	50
298.	თეთრგულა შაშვი	50
299.	რუხთავა შაშვი	50
300.	თეთრწარბა (ფრთაწითელი) შაშვი	50
301.	წრიპა შაშვი (მგალობელი შაშვი)	50
302.	ჩხართვი	50
303.	შავყელა შაშვი (ჯიჯღი)	50
304.	ულვაშა წივწივა	140
305.	თოხიტარა	40
306.	ჩვეულებრივი რემეზი (თერძი)	40
307.	მცირე წივწივა (წიწკანა)	40
308.	დიდი წივწივა (წიწკანა)	40
309.	მოლურჯო წივწივა (წიწკანა)	40
310.	შავთავა წივწივა (წიწკანა)	40
311.	ხმელთაშუა ზღვის წივწივა (წიწკანა)	40
312.	ქოჩორა წივწივა (წიწკანა)	40
313.	ჩვეულებრივი ხეცოცია	40

314.	დიდი კლდეცოცია	40
315.	მცირე კლდეცოცია	40
316.	შავთავა ხეცოცია	40
317.	ფრთაწითელი კლდეცოცია	40
318.	ჩვეულებრივი მგლინავა	40
319.	მოკლეთითა მგლინავა	140
320.	ჭინჭრაქა (ღობემძვრალა)	40
321.	წყლის შაშვი	40
322.	მეფეტვია (ანუ მინდვრის გრატა)	40
323.	კლდის გრატა	40
324.	მოყვითალო გრატა	40
325.	შავყელა გრატა	40
326.	შავთავა გრატა	40
327.	ბადის გრატა	40
328.	ლელიანის გრატა	40
329.	რუხკისერა გრატა	40
330.	მოზამთრე (ან ჩრდილოეთის) სკვინჩა	40
331.	სკვინჩა (ნიბლია)	40
332.	ჩიტბატონა	40
333.	შავთავა მწვანულა	40
334.	მწვანულა	40
335.	მთის ჭვინტა	40
336.	ჭვინტა (მეკანაფია)	40
337.	სტვენია	40
338.	კულუმბური	40
339.	ფრთაწითელი კოჭობურა	130
340.	წითელშუბლა მთიულა	40
341.	მოყვითალო მთიულა	40
342.	ჩვეულებრივი კოჭობა	40
343.	დიდი კოჭობა	130
344.	ნისკარტმარწყხა	40
345.	შავგულა (ესპანური) ბელურა	30
346.	მინდვრის ბელურა	30
347.	სახლის ბელურა	30
348.	მეთოვლია	30
349.	კლდის ბელურა	30
350.	მკრთალი (მოკლეთითა) კლდის ბელურა	30
351.	შოშია (შროშანი)	40
352.	ვარდისფერი შოშია (ტარბი)	40

353.	მოლალური	40
354.	ჩხიკვი	40
355.	კაჭკაჭი	40
356.	წითელნისკარტა მალრანი	30
357.	ყვითელნისკარტა მალრანი	30
358.	ყორანი	40
359.	ჭილყვავი	30
360.	რუხი ყვავი	40
361.	ჭკა	30
362.	სხვა ფრინველები	20

ძუძუმწოვრები		
ძაღლისებრნი, მგლისებრნი		
363.	ტურა	75
364.	მგელი	300
365.	ენოტისებური ძაღლი	10
366.	მელა	250
დათვისებრნი		
367.	დათვი	10000
ენოტისებრნი		
368.	ენოტი	10
კვერნისებრნი		
369.	წავი, კავკასიური წაულა, ჭრელტყავა	500
370.	კვერნა	100
371.	მაჩვი	100
აფთარისებრნი		
372.	ზოლებიანი აფთარი	1000
კატისებრნი		
373.	ტყის კატა	50
374.	ჯიქი	5000
375.	კავკასიური ფოცხვერი	1000
ლორისებრნი		
376.	გარეული ღორი	1000
ირმისებრნი		
377.	შველი	5000
378.	ირემი	15000
ღრურქიანები		
379.	ქურციკი (ჯეირანი)	10000
380.	ნიამორი	10000
381.	არჩვი	6000
382.	ჯიხვი	13000
ციცვისებრნი		

383.	ციყვი	10
ზაზუნასებრნი		
384.	ამიერკავკასიური ზაზუნა	20
ნუტრიასებრნი		
385.	ნუტრია	10
კურდღლისებრნი		
386.	კურდღელი	20
387.	სხვა ძუძუმწოვრები	10
ამფიბიები		
სალამანდრისებრნი		
388.	კავკასიური გრძელკუდა სალამანდრა	100
389.	სავარცხლიანი ტრიტონი	20
390.	ჩვეულებრივი ტრიტონი	20
391.	მცირეზიური ტრიტონი	70
მეყარისებრნი		
392.	სირიული ყოტი (სირიული მეყარი)	50
393.	ჯვარულა (კავკასიური ჯვრიანა)	40
ვასაკისებრნი		
394.	ვასაკა	20
